გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N3 (9290) 31 იანვარი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

მამუკა თოდრიას არც "სათნოების სახლის" ბინადრები დავიწყნია 2

4

წელს იანვარში წითელას 6 შემთხვევა დაფიქსირდა

3

სკოლების რეაბილიტაციისთვის 140 მილიონი დოლარი იხარჯება

მეფე საქართველოსი აღმაშენებელი დავით...

11

პაატა ქანქია ვიყავი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში" 6

ახალგაზრდა ბანკირის დიდი გატაცება მეღვინეობაა 7

გული მეტკინა, წიგნში ასე დაკნინებულად რომ არის წარმოდგენილი ჩვენი ქალაქი

10 ბევრი ყვავილი და ბევრი ღიმილი

ხელოვნების ქურუმს, ივანე იანცბელიძეს, ვარსკვლავი გაუხსნეს 5

ბერიკა-მსახიობელზე...

პოზიცია-ოპოზიციის თანხმობის მიუხედავად საკითხი ღიად დარჩა!

თეა ბაბუნაშვილი

საკრებულოს რიგგარეშედ გამართული სხდომა ამჯერად სამიოდე საკითხით შემოიფარგლა. მისი გამართვის აუცილებლობა დაუყოვნებლივ განსახილველმა საკითხებმა გამოიწვია. ივი საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯაბურიასგან დეპუტატებზე მიმართვით დაიწყო, ყველა სხდომაზე ერთმანეთის მიმართ კორექტულები ყოფილიყვნენ და ზედმეტი ხმაური გარეშე მიეღოთ საჭირო გადაწყვეტილებები.

პირველივე გამომსვლელი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი გახლდათ. დაწყებისთანავე სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებას დაეთანხმნენ დეპუტატები.

მეორე საკითხად საქართველოს მთავრობის 2019 წლის №6 განკარგულებით "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის №2577-ე განკარგულებაში შეტანილი ცვლილება განიხილეს, რომლის შესაბამისადაც "სამტრედიის მუნიციპალიტეტს განსახორციელებელი პროექტების მთლიანი ღირებულების ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხა განესაზღვრა 2 973 056 ათასი ლარით." პროექტის განხორციელებისათვის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხა 2 824 400, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით დასაფინანსებელი 148 656 ლარს შეადგენს. სამუშაოების მონიტორინგისთვის 148 656 ლარი დაიხარჯება.

სწორედ სამუშაოების მონიტორინგისთვის განკუთვნილი თანხა ეძვირა დეპუტატს ოპოზიციიდან მამუკა ბიბილეიშვილს: "ჩვენ გასულ წელსაც ვაპროტესტებდით და ახლაც ივივე აზრზე ვართ, რომ მონიტორინგისთვის ძალიან დიდი თანხები იხარჯება. ეს ციფრი თანხის საერთო რაოდენობის 5 პროცენტია, როცა ბოლო წლების გარდა ივი 2 პროცენტს არასდროს სცილდებოდა. არადა, მონიტორინგი სამუშაოების დასრულების შემდეგ ადგილზეც ხორციელდება და თავის მხრივ მასში სხვა სამსახურებიც ერთვებიან." მის ამ განცხადებას დაეთანხმა დეპუტატი უმრავლესობიდან ზაზა ადეიშვილი: "მონიტორინგი ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მისი სამსახურების პრეროგატივაა, ხალხი ამისთვის აფინანსებს სამინისტროებს, თვითმმართველობებს, მმართველობებს. დამატებით კიდევ ამ ორგანიზაციას თუ უნდა ვუხადოთ ფული მონიტორინგისთვის, ჩამოვაყალიბოთ მაშინ შესაბამის უწყებად და ბიუჯეტში ჩავდოთ მისი დაფინანსება. ეს კითხვა, ალბათ, ყველა მუნიციპალიტეტში დაიბადება, ვეთანხმები ბატონ მამუკას, ღირს ამ საკითხის უფრო მაღალ დონეზე დაყენება, თორემ აქ, მხოლოდ ჩვენი საუბრით, ბუნებრივია, შედეგი არ გვექნება." იგივე მოსაზრება გაიზიარა უმრავლესობის წევრმა ლიზა კრავეიშვილმა: "მე რომ შემამოწმო, კიდევ ფული უნდა გიხადო?! შენით შემამოწმე! ადრე "სახლხო კონტროლი" მისით გვამოწმებდა და არაფერს ვიხდიდით!" იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ მამუკა ბიბილეიშვილს დააკონკრეტებია, უშუალოდ მონიტორინგის სამსახურის ფუნქციონირებაზე ჰქონდა პრეტენზია, თუ მხოლოდ გადასახდელი პროცენტის სიდიდეზე, რადგან ეს სამსახური ჯერ ისევ წინა ხელისუფლების დროს არსებობდა.

ამ კონკრეტულ საკითხზე უმრავლესობა-უმცირესობის თანხმობის მიუხედავად, პრობლემა ღიად დარჩა!

დაბოლოს სხდომაზე იმერეთში ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობისთვის ახალი ორგანიზაციის შექმნის საკითხი განიხილეს. განსახილველად ივი იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ გამოიტანა. განსახილველი საკითხის ნიუანსებით, მისი ბიზნესგათვლებით, განსაკუთრებით დაინტერესდა დეპუტატი დავით ნიკოლეიშვილი.

დასახელებიდანაც ჩანს, ახალი სამსახურის შექმნის მიზანი რეგიონში ტურისტული პოტენციალის ამაღლება და ხელშეწყობაა. იმერეთის ტურიზმის მართვის ორგანიზაცია ახალი უწყება იქნება და ივი ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესშია. მისი წესდება დეპუტატებს დღის წესრიგთან ერთად მაგიდაზე ედოთ. მუნიციპალიტეტის მერი კი საკრებულოსგან ქუთაისის, წყალტუბოს, ვანის, ხონის, ბაღდათის, ტყიბულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩხერისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების მერების მსგავსად, მისი დაფუძნების და სამტრედიიდან წარმომადგენლის წარგზავნის ნებართვას ითხოვდა. ვინ გახდება წარმომადგენელი, თავად მერი თუ მისი ნდობით აღჭურვილი სხვა პირი, ეს ჯერ ისევ განხილვის პროცესშია და ყველა მუნიციპალიტეტისთვის საყოველთაო გადაწყვეტილების საფუძველზე შეირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ გამგებელს შესაბამისი ნებართვა მიეცა, მამუკა ბიბილეიშვილმა საკითხი გააპროტესტა. მისი აზრით, ადგილებზე მუნიციპალიტეტებში, ცალკე გუბერნიაში ისედაც შექმნილია კულტურისა და ტურიზმის სამსახურები, ფუნქციონირებს შესაბამისი სამინისტრო და კიდევ ერთი ამგვარი სამსახურის შექმნა მხოლოდ ბიუჯეტის ზედმეტი ხარჯი და განსაზღვრული პირების დასაქმების საშუალებაა.

განხილვის აუცილებლობისთვის საკრებულოში რიგგარეშედ გამართული სხდომა ყველა განსახილველ საკითხზე თანხმობით დასრულდა.

ლაბირეგა შესრულდა

ნინო ნანიტაშვილი

ახალი მოსაცდელი აშენდა და მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყო დავით აღმაშენებლის ქუჩაზე. კერძოდ, ფეხით მოსიარულეთათვის რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდის ქვეშ, სადაც დღის განმავლობაში ინტენსიური მოძრაობაა.

ამავე ტერიტორიაზე არსებობდა მგზავრთა მოსაცდელი, რომელიც თითქმის 2 ათეული წელია აღარ ფუნქციონირებდა.

დავით აღმაშენებლისა და ქუთაისის ქუჩების მოსახლეობის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ მყისიერი რეაგირება მოახდინა, დახმარებისთვის მიმართა საქართველოს საგზაო დეპარტამენტს, რასაც დადებითი რეაქცია მოჰყვა.

სამუშაოები ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე დაიწყო 19 იანვარს და დასრულდა 26 იანვარს.

დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მგზავრთა მოსაცდელის მშენებლობას შპს "ლატექსი" ერთი კვირის მანძილზე აწარმოებდა (დირექტორი მანანა ტაბიძე, შემსრულებელი ზაზა თოფურია). აშენდა ახალი, ტიპური, კეთილმოწყობილი მოსაცდელი, კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორიაც.

მოსახლეობა მშენებლობას თვალს ადევნებდა. როცა მგზავრთა მოსაცდელი დასრულდა, ადგილობრივები დიდ მადლიერებას გამოხატავდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობის და შემსრულებლების მიმართ.

მოსახლეობის სახელით იმ დღეს "სამტრედიის მაცნესთან" მადლობის სათქმელად მედიკო არაბიძე და მაყვალა ხეთერელი მოვიდნენ და ის საერთო სიხარული გაგვიზიარეს, რასაც ადგილობრივები განიცდიან.

მედიკო არაბიძე, ქუთაისის ქუჩაზე მცხოვრები: "ეს იყო საარჩევნო დანაპირები. ადგილობრივ ხელისუფლებას მაშინ ჩვენ მგზავრთა მოსაცდელის აშენების მოთხოვნით მივმართეთ. მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამ უბნიდან ოპოზიციონერი დეპუტატი გავიდა, ამის მიუხედავად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ დანაპირები მაინც შეგვისრულა. ყველას მადლობას ვუხდით და წარმატებას ვუსურვებთ".

წელს იანვარში წითელას 6 შემთხვევა დაფიქსირდა

ნინო ნანიტაშვილი

მიუხედავად იმისა, შარშან მთელი წლის მანძილზე სამტრედიის მუნიციპალიტეტში წითელას 36 შემთხვევა იყო დაფიქსირებული, მიმდინარე წელს კი მარტო იანვარში, განვლილი 24 დღის სტატისტიკით საზოგადოებრივმა ჯანდაცვამ უკვე წითელას 6 შემთხვევა დააფიქსირა, მარინა თევზაძე თვლის, რომ სიტუაცია საგანგაშო არ არის.

ქვეყანაში წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 25 იანვარს, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. მერის მოადგილემ, დავით ბახტაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში შეკრებილ სამედიცინო სფეროსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს, ასევე, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელებს ქვეყანაში წითელას მასობრივი გავრცელების პრევენციის ღონისძიების გატარების შესახებ საქართველოს მთავრობის 18 იანვრის №16 განკარგულება გააცნო.

მთავრობის განკარგულების შესრულების მიზნით განსაზღვრულია თვითმმართველობის, საგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მხრიდან დროულად გასატარებელი ღონისძიებები, სამედიცინო დაწესებულებების მიერ აცრების ჩატარების მიზნით არასრულად აცრილი და ასაცრელი კონტინგენტის გამოვლენა. სამუშაო ჯგუფის მენეჯერად საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი მარინა თევზაძე დაინიშნა.

სამუშაო ჯგუფის წევრებს დაევალათ, მინიმუმ, დღეში ერთხელ მიაწოდონ შემთხვევის მენეჯერს მათ სამოქმედო ტერიტორიებზე დღის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. თავის მხრივ შემთხვევის მენეჯერს დაევალა შემაჯამებელი ინფორმაციის მერის მოადგილისთვის მიწოდება. მდგომარეობის სირთულის მიხედვით დავით ბახტაძე ინფორმაციას მიაწოდებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს და სამხარეო ადმინისტრაციას.

სკოლების რეაბილიტაციისთვის 140 მილიონი დოლარი იხარჯება

ნინო ნანიტაშვილი

ზესტაფონში რეაბილიტირებული №6 და №7 საჯარო სკოლები იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა შავლეგო ტაბატაძემ, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა, ზესტაფონის მაჟორიტარმა დეპუტატმა შალვა კეკნაველიძემ, განათლების მინისტრის მოადგილემ ნათია ზედგინიძემ და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მაღრაძემ გახსნეს. აღნიშნული სკოლები ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ დაფინანსდა და დაწესებულებებს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ფონდის ეგიდით იმერეთის რეგიონში 17 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია ხორციელდება და პროექტის შედეგად 10 000-მდე მოსწავლისათვის გაუმჯობესდება სასწავლო გარემო. სკოლების რეაბილიტაციას აშშ-ის მთავრობა აფინანსებს, რისთვისაც 140 მილიონი დოლარი იხარჯება.

პროექტის ფარგლებში ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა 11 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია უკვე დაასრულა. საერთო ჯამში ქვეყნის მასშტაბით რეაბილიტაცია 91 სკოლას ჩაუტარდება.

შავლეგო ტაბატაძე, იმერეთის გუბერნატორი: "მინდა, მადლობა გადავუხადო ათასწლეულის გამოწვევის ფონდს. მათი დაფინანსებით ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები. ზოგადად მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ პირს, ვინც ამ პროცესებშია ჩართული. რეგიონისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რაც წაადგება იმერეთის განვითარებას."

მაგდა მაღრაძე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი: "ჯამში დასავლეთ საქართველოში დასრულდა 11 სკოლის რეაბილიტაცია და აღჭურვა, საგაზაფხულო სემესტრს მოსწავლეები შეხვდებიან სრულიად განახლებულ სასწავლო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვას. პროექტს აფინანსებს აშშ-ის მთავრობა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში, რომელიც საქართველოს 140 ამერიკული დოლარის გრანტით ეხმარება".

მარიამ ჯაში, საქართველოს პარლამენტში განათლების კომიტეტის თავმჯდომარე: "ათასწლეულის გამოწვევის ფონდის და განათლების სამინისტროს ერთობლივი თანამშრომლობით 69 სკოლის რეაბილიტაცია და მშენებლობა დასრულდა, 30 000-მდე ბავშვისთვის შეიქმნა საუკეთესო სასწავლო გარემო, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე ლაბორატორიული აღჭურვილობით, სპორტული დარბაზებით და ყველა იმ პირობით, რომელიც არის აუცილებელი თანამედროვე სკოლებისთვის. ვფიქრობ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინვესტიცია. თუმცა, არაერთი სკოლის პრობლემა რჩება, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად და ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, უფრო მეტი ინვესტიციით ყოველწლიურად ინფრასტრუქტურაში ეტაპობრივად დავფაროთ ყველა პრიორიტეტული საჭიროებები".

ბაგა-ბაღებში საალმზრდელო პროცესი განახლდა

ნინო ნანიტაშვილი

28 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სასწავლო-საალმზრდელო პროცესი განახლდა. ერთთვიანი არდადეგების დასრულების შემდეგ სამტრედიელი პატარები მშობლიურ საალმზრდელო დაწესებულებებს დაუბრუნდნენ.

ისევე როგორც სხვა დანარჩენ 23-ს, სადეზინფექციო სამუშაოები ჩაუტარდა მე-3 საბავშვო ბაღსაც. საალმზრდელო პროცესის განახლებას დაუკავშირა მუნიციპალიტეტის მერმა რკინიგზის ყოფილ ბაგა-ბაღში სტუმრობა. ვალერიანე ფოცხვერიასთან ერთად საჩუქრებით ხელდამშვენებულები მივიდნენ კულტურის, სოციალური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების უფროსები: ნატალია მანჯგალაძე, ლევან ახობაძე და მიხეილ ლეჟავა.

საგანგებოდ სამტრედიის ბაგა-ბაღებისთვის მამუკა თოდრიას მიერ ჰოლანდიიდან გამოგზავნილი საჩუქრები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ გუშინ სხვა საბავშვო ბაღებსაც გადასცა. აღმოჩნდა, რომ პირველი დღე ბავშვთა სიმცირით გამოირჩებოდა, რაც ქვეყანაში და მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტში გავრცელებულ ვირუსებს უკავშირდება.

სამტრედიის ბაგა-ბაღებში სიით 1500-მდე მოზარდი ირიცხება, ძირითადად მოსიარულე კი 1200-1300 ბავშვია.

ხათუნა გაგუა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი: "მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ჰოლანდიაში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს, ბატონ მამუკა თოდრიას, რომელიც გვანებივრებს საჩუქრებით. წელს განსაკუთრებით დასაჩუქრდა ტოლების საბავშვო და ქალაქის №10 ბაგა-ბაღი. ასევე საჩუქრები ერგოთ დანარჩენ ბაღებსაც.

საბავშვო ბაღები ახალ სასწავლო წელს კიდევ უფრო მრავალფეროვანი მენიუთი დახვდა აღსაზრდელებს. ასევე წლეულს ჩასმულია და სულ მალე დაიწყება სარემონტო სამუშაოები საბავშვო ბაღებში. მადლობას ვუხდი მერიას და კერძოდ, ქალაქის მერს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, რადგან საბავშვო ბაღებს და მომავალ თაობას პრიორიტეტს ანიჭებს".

სპორტული დარბაზი ევროპულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს

ეწრის საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. 2018 წლის ნოემბერში მონიტორინგის სამსახურმა პროექტი მოიწონა, რომელზეც ტენდერი მუნიციპალიტეტის მერმა შარშან, წლის ბოლოს გამოაცხადა. 4 იანვარს ხელშეკრულება გაფორმდა სამშენებელო ორგანიზაცია შპს "ლაგსა" (დირექტორი ლაშა კვირიკაძე) და მუნიციპალიტეტის მერიას შორის.

ბოლო რამდენიმე წელია, ეწრის საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზი პრაქტიკულად არ ფუნქციონირებდა. ავარიულ მდგომარეობაში მყოფ დარბაზში შეუძლებელი იყო სასწავლო პროცესის ჩატარება. დაზიანებული სახურავიდან წყალი გამუდმებით ჩამოდიოდა, რაც ჭერს და კედლებს ინტენსიურად აზიანებდა.

არ არსებობდა გასახდელები. ვინაიდან სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს, აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ ეწრის საჯარო სკოლას თანამედროვე ევროპული სტანდარტების მქონე სპორტული დარბაზი ექნება.

პროექტის ღირებულება 185 573 ლარს შეადგენს.

ნინო ნანიტაშვილი

ნუთუ მართლა ფურთხის ღირსნი ვართ?

ლევან გაბეჩავა



"სჯობს, კარგად ავწონ-დავწონოთ: რა აქვთ სხვებს კარგი _ ისეთი, რომლის შეთვისებაც ჩვენს ბუნებასაც შეუძლია და ჩვენ რა გვაქვს ცუდი _ ისეთი, რომლის თავიდან მოშორებაც შესაძლებელია. მერე იქნებ პურიც ჩვენვე გამოგვეცხო, სახორცე პირუტყვიც ჩვენვე გაგვეზარდა, "წაღებიც" ჩვენივე შეკერილი ჩაგვეცვა და ტანსაცმელიც"...

"ვინ, რომელი ბრძენი, ისტორიკოსი ან ეთნოგრაფი გვეტყვის დღეს, როგორი იყო ნამდვილი და პირველდროინდელი ქართველების ბუნება, ზნე, ხასიათი, თვისება? რა შეგვრჩა ჩვენი საკუთარი, ან რა გამოგვყვა და მოგვედო სხვისი? ჩვენი რა გვაქვს დღეს და სხვისი რა ან რომლის რა? ვინ იცის ეს! მართალია, ბევრს არც საჭიროდ უნდა მიაჩნდეს ამ ნაირი გამოკვლევა, მაგრამ, დღეს ამ უბედურ მიმბაძველობის პერიოდი რომ, ღვთის მადლით, ჩვენთვის გათავდა, და ვიწყებთ შემდგომს ისტორიულ პერიოდს, პერიოდს ჩვენის თვისტომობისკენ დაბრუნებისას, მეტის მეტად საჭიროც არის და გამოსადეგიც ვიცოდეთ _ ჩვენი თვისტომობა ნამდვილად რაში მდგომარეობს, ან რომელ თვისტომობას უნდა დავუბრუნდეთ, დავუახლოვდეთ?"

ძალზე დიდი ხნის წინ ბრძანა ეს მრავლისმთქმელი და დღესაც გასათვალისწინებელი სიტყვები დიდმა ერისკაცმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ. ვაი, რომ დღესაც იგივე ზნე და ჭირი გვჭირს.

ჩვენმა უფროსმა კოლეგამ ბატონმა ანზორ გრიგოლიამ 20 თუ 25 წლის წინ დაწერა წერილი სათაურით "ნუთუ მართლა ფურთხის ღირსნი ვართ?" და, რაოდენ სამწუხაროა, რომ განვლილი დროის მანძილზე ჩვენ, ქართველი ერი, ვერ გავიზარდეთ პოლიტიკურად, ისევ ბეწვს ვეძებთ სხვათა თვალში, მაშინ, როცა საკუთარში ვერაფერს ვამჩნევთ.

მთავარი და უმთავრესი ეროვნული სატკივარია ის, რომ ყოველ დღე ამდენი დანაშაული ხდება ციცქნა სახელმწიფოში, დედას შვილის მკვლელობაში სდებენ ბრალს, ვის პატრიარქის შესაძლო მოწამვლაში, ვის რაში და ვის კიდევ რაში.

მედია, ტელევიზია თუ პრესა ბოღმის, ღვარძლის განვრცობის იარაღად იქცა.

ყველა ყველას ლანძღავს და აგინებს უშვერი სიტყვებით, ვისაც "მჯერმეტყველება" შეუძლია. ჩვენდა საოცრად მაღალი იერარქიის სასულიერო პირებიც კი არ ერიდებიან ღიად, საზოგადოების წინაშე ურთიერთის განქიქებას.

მესმის, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე საახლეები მასებისათვის უნდა იყოს ცნობილი, მაგრამ თვეობით მარტო ის ვიძახოთ, თუ რას იტყვის, როგორ იტყვის უმრავლესობაზე განაწყენებული "ყოფილი" მეგობარი და რა კარტებს გახსნის იგი, დაუშვებელია.

ახლოვდება გაზაფხული და არც ტელევიზიები, არც ბეჭდვური მედია ან არაფერს, ან ნაკლებად საუბრობენ ისეთ პროექტებზე ხალხის დასაქმებაზე რომ იქნება ორიენტირებული.

მხოლოდ ქველმოქმედებებზე ან სოციალურად დაუცველებისადმი მზრუნველობაზე არ უნდა იყოს კური აღებული სახელმწიფოში, ისე არავინ გაგვიგოს, თითქოს ყველაფერ ამის წინააღმდეგნი ვიყოთ, მაგრამ, მოდით, ასე დავსვათ კითხვა:

რატომ უნდა გვყავდეს ესოდენ პატარა სახელმწიფოში ამდენი სოციალურად დაუცველი?

რატომ უნდა გვჭირდებოდეს ესოდენ პატარა სახელმწიფოს საზღვარგარეთელი მეგობრებისგან ამდენი დახმარება, როცა ჩვენს ბარაქიან მიწაზე უკვდავების წყაროც კი შეიძლება ავაჩუხჩუხოთ და ნატურალური პროდუქციაც საკმაოდ ვაწარმოოთ?

რატომ უნდა გვყავდნენ ამდენი ემიგრანტები?

რატომ არ უნდა გვქონდეს პოზიცია-ოპოზიციას პოლიტიკური ბრძოლის უფრო მეტად დახვეწილი კულტურა?

რატომ ვერ ვმართავთ საკუთარ ამბიციებს, რატომ ვერ ვეგუებით და კიდევ რატომ ვუპირისპირდებით ერთმანეთს ფიზიკურად, როცა ყველაფერი საღი დიალოგის ფონზე შეიძლება გადაწყდეს?

ამაზე მეტად რთული პერიოდიც გამოგვივლია ქართველებს, მაგრამ...

მაგრამ ამჟამადაც რთული ვითარებაა ქვეყანაში.

უნდა ითქვას ისიც, რომ ყველაფერში ხელისუფლება და ხელისუფალნი რომ დავადანაშაულოთ არ იქნება მართებული. ჩვენ, ხალხმაც ბევრი რამ უნდა სწორად განვსაჯოთ, ცივილური და არა ველური მეთოდებით მოვითხოვოთ ხელისუფალთაგან ის, რაც ჩვენ, ხალხს გვეკუთვნის. ხელისუფლებამ კი ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისათვის, ბევრია გასაკეთებელი დაცარიელებული სოფლების და უკვე ქალაქების კვლავ ასახმიანებლად.

ახალგაზრდობის დასასაქმებლად, ემიგრანტების სამშობლოში დასაბრუნებლად, ხალხის დასასაქმებლად და ა. შ. ა. შ.

ევროპისაკენ გაგვირბის თვალი უძველესი (ევროპული) კულტურისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ერს.

კარგის მეტი არაფერია ამაში, მაგრამ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები ქართულ ანბანს, ქართულ ჭიდაობას, ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციას, ქართულ მრავალხმიანობას საერთაშორისოდ აღიარებს, ქვეყნის შიგნით რატომ ვერ დავლაგდით?

მართლაც, რა ბრძენი წინაპრები გვყოლია ბრძნულადვე რომ უთქვამთ (ალბათ) ქვეყნისათვის ურთულეს დროსა და ყოფაში.

რა დროს მტრობაა ქართველნო და რა დროს განზე დგომაა?

ნუთუ მართლაც ფურთხის ღირსნი ვართ?

მამუკა თოდრიას არც "სათნოების სახლის" ბინადრები დავიწყნია

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, მერიის კულტურის, სოციალური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების უფროსები: ნატალია მანჯგალაძე, ლევან ახობაძე და მიხეილ ლეჟავა ამ დღეებში "სათნოების სახლს" სტუმრობდნენ.

ახლობლების მზრუნველობას მოკლებულ მოხუცებს ოფიციალური სამტრედიის ვიზიტი ამჯერადაც სასიამოვნოდ დაურჩათ, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტკბილეულთან ერთად ყოველდღიური საჭიროების სხვადასხვა სახის ის ნივთებიც გადასცეს, რომელიც ჰოლანდიაში მცხოვრებმა ქველმოქმედმა, წარმოშობით სამტრედიელმა მამუკა თოდრიამ უშუალოდ "სათნოების სახლის" ბენეფიციარებს გამოუგზავნა.

"სათნოების სახლის" ყველაზე ხანდაზმულ ბინადარს, გალინა ზაქრაძეს, 101 წლის შესრულებას 6 თვე უკლია. ყოველი სტუმრიანობა და უცნობი ადამიანების მხრიდან გაწეული მზრუნველობა მას სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

"ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია, ჩვენ სხვა დროსაც მოვალთ თქვენთან და მოგეფერებით". _ მუნიციპალიტეტის მერი ამ სიტყვებით გამოემშვიდობა მადლიერ მოხუცებს, ადამიანებს, რომელთაც, ვალერიანე ფოცხვერიას თქმით, ხელისუფლებიდან განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

კადრები მართლაც რომ ყველაფერს წყვეტენ

ლევან გაბეჩავა

ამ დღეებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვარწმუნა, რომ კადრები მართლაც წყვეტენ ყველაფერს. სწორად შერჩეულ კადრ(ებ)ს შეუძლია ხალხი ხელისუფლებისადმი პოზიტიურად განაწყოს და პირიქით, დასცეს მისი რეიტინგი.

როგორც ცნობილი გახდა, ამ დღეებში დიდძალი ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტთან დაკავშირებით დააკავეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გრიგოლ ივანეიშვილი და ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილე, თეიმურაზ ჩოჩუა. ფაქტი ამაზრზენია, თუმცა, რეალური და სამარცხვინო, ამავე დროს მრავალთათვის გასათვალისწინებელი.

ვიდრე სამართალდამცავები საბოლოო ვერდიქტს დადებენ საქმესთან დაკავშირებით, ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია გარდა ერთისა _ "ასჯერ გაზომე _ ერთხელ გაჭერის" ხალხური სიბრძნე უნდა იქნას გათვალისწინებული კადრების შერჩევისას, მსგავსი ფაქტების მოწმენი რომ არ გავხდეთ მომავალში და უხერხულობაში არ ჩავაგდოთ არც საკუთარი თავი და არც ქვეყანა.

მართლაც რომ წყვეტენ კადრები ყველაფერს.

ხელოვნების ქურუმს, ვანო იანტბელიძეს, ვარსკვლავი გაუხსნეს

ბერიკა-მსახიობელზე...

ქეთევან ჭელიძე

14 იანვარი _ ქართული თეატრის დღე. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული პროფესიული თეატრი, ამერ-იმერი საქართველო, ვანო იანტბელიძის საიუბილეო საღამო და ვარსკვლავის გახსნა, ბევრი ტაში და ოვაცია.

მერე, რედაქციაში, ჩემი მოკრძალებული სამუშაო ოთახის კედელზე მსახიობის საიუბილეო კალენდარი და მაგიდაზე ავტოგრაფიანი წიგნი ''ბერიკა-მსახიობელი'' _ ესეც ვანო იანტბელიძეზე, თელავის თეატრის მსახიობზე, საქართველოს დამსახურებულ არტისტზე, ღირსების ორდენის კავალერზე, სახელმწიფო და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატზე, თელავის საპატიო მოქალაქეზე, არაჩვეულებრივი ქალბატონის, ფიქრია ყუშიტაშვილის მეუღლეზე, სამი შვილის მამასა და შვილიშვილების ბაბუაზე.

გინდა, ბევრი თბილი სიტყვა თქვა მასზე _ გეამაყება და იმიტომ!

ჩვენიანია, სამტრედიელია და იმიტომ!

კიდევ საქართველოსია!

45 წელი ილვაწა თეატრსა და კინოში და 100-ზე მეტი როლი განასახიერა. სამტრედიელი კაცი თელაველი გახდა, იმდენად, რომ წარმოუდგენელია ის თელავის და თელავი ბატონი ვანოს გარეშე.

როგორია? როგორიც სპექტაკლში ''მთვარის დაბნელების ღამეს'' იალსიგული: ''უთქმელი სიტყვის ბატონი ვარ და მბრძანებელი, ხოლო ნათქვამის სიკვდილამდე მონა-მორჩილი!''

განსხვავებულია _ ''უყვარს სიურპრიზები და ექსპერიმენტები''.

და კიდევ: ''ვანო იანტბელიძის თვალებიდან ბავშვი გიმზერს და გაგრძნობინებს, რომ შეიძლება მისი იმედი გქონდეს''. ამიტომაც შეიყვარა იგი მთელმა საქართველომ _ პროფესიონალი მსახიობი და ადამიანი!

მადლიერია სამტრედიელი თეატრალების, დარეჯან ჩაჩუასა და ბიძინა კიკაჩეიშვილის. სწორედ მათი მეშვეობით მოხდა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლის თეატრალური ნათლობა. ''გაუზვიადებლად ვიტყვი, სამსახიობო ხელოვნებაში სწორედ ამ ადამიანმა ამადგმევინა ფეხი''. _ იტყვის დარეჯან ჩაჩუაზე.

სიმბოლურია, 14 იანვარს ქართული თეატრის დღეს მისი დაბადების დღეც რომ არის. ალბათ, იღბალიც, თანდაყოლილი არტისტიზმი და თეატრალობა, ''მუხტი, თუ გნებავთ, შინაგანი ნერვი, რომელიც შესაძლოა, იმ წამსვე არ გამჟღავნდეს, მაგრამ კულმინაციის შემთხვევაში ნამდვილ ვულკანს უნდა დაემსგავსოს.''

ჩამოთვლაც კი შეუძლებელია როლების, რომლებიც ვანო იანტბელიძემ თელავის თეატრის სცენაზე ითამაშა. ითამაშა თავისუფალი და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრების სცენებზეც. შექმნა კინოროლები და დაუვიწყარი სახეები კლიპებში. ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზეც წარსდგა სამტრედიელების წინაშე და საქართველოს კიდევ ბევრი სხვა სცენიდანაც დაიპყრო მაყურებელი.

მე პორტრეტულ წიგნს დავარქმევ ''ბერიკა-მსახიობელს''. და აი, მანანა გიგოშვილისეული ვანო იანტბელიძის პორტრეტიც პორტრეტული წიგნიდან:

''შენ გაქვს ხასიათი კაცის! ეს ნიჭზე ძვირფასია.

ბევრის გადატანა მოგიხდა, არ დაგიწუწუნია. ბევრი წარმატება გიგემია _ არ გაყოყოჩებულხარ. უღალატო მეგობრობა იცი. ურთიერთობაში გულწრფელი ხარ. უამრავი მეგობარი გახვევია გარს... მადლიანი ხარ.

ცხოველი ინტერესით ცხოვრობ. ნიჭიერი კაცი ხარ _ არტისტი ხარ!''

თელავში ქართული თეატრის დღე და ვანო იანტბელიძის დაბადებიდან 65 წლისთავი ერთად აღინიშნა. ზარ-ზეიმით გაიხსნა თეატრის წინ მისი ვარსკვლავი. თვად პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი ეწვია მსახიობს საიუბილეო საღამოზე, ასევე, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე, ხელისუფლების წარმომადგენლები და ბევრი სხვა, ვისაც თეატრი და ხელოვნება სულიერ საზრდოდ გაუხდია.

იმ დღეს ისევ წარსდგა მსახიობი მაყურებლის წინაშე როლებით სხვადასხვა სპექტაკლებიდან... და ბოლოს ისევ ''ალალე''.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით პრემიებით დაჯილდოვებაც შედგა თელავში გამართულ ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით.

ვანო იანტბელიძეს კი საქართველოს კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო _ ''ხელოვნების ქურუმის'' წოდება მიენიჭა.

სურვილი: ''მინდა დღეის იქეთ ისევ ისეთი აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით ვიცხოვრო, როგორც ეს აქამდე იყო... იმედი მაქვს, წინ კიდევ არაერთი სცენური თუ ეკრანული მხატვრული სახეა გასაცოცხლებელი!..''

სამტრედიელებიც გულწრფელი სიყვარულით ვულოცავთ ბატონ ვანოს იუბილეს, ''ხელოვნების ქურუმის'' წოდების მინიჭებას და ვარსკვლავის გახსნას. რა თქმა უნდა, აქვე აღიარებულ მსახიობსა და ვანო იანტბელიძის ჯგუფელს, მურმან ჯინორიასაც დავესესხებით: ''იმდენად ნიჭიერი ხელოვანი ხარ, რომ უფლება არ გაქვს, კიდევ დიდხანს არ ახარებდე ქართველებს!''

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამხრეთში

პატარა ჭანჭიკი ვიყავი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში"

ნათია ნაცვლიშვილი

ვახტანგ წიქვაძე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანია, რუბრიკაში "ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში" იგი ტკივილიან ბიოგრაფიას გაიხსენებს... მისი მონათხრობი კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს, რომ ძმათამკვლელი ომის დღეებშიც არსებობდნენ ადამიანები, სტუმართ-მასპინძლობის ტრადიციას, ურთიერთუპატივცემას და პატივისცემას რომ ამჯობინებდნენ ბინძურ პოლიტიკას!

_ ბატონო ვახტანგ, როგორ ჩაებით ეროვნულ მოძრაობაში?_ ბავშვობიდან მიყვარდა საქართველოს ისტორიის კითხვა, პროფესიით ავტომექანიკერი ვარ, სტუდენტობიდან ჩავები ეროვნულ მოძრაობაში. ჯერ კიდევ 1978 წელს ენის დაცვის აქციას შევუერთდი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის სტუდენტთა ჯგუფი გამოვედით ენის დასაცავად. ივანე ჯავახიშვილის ისტორიის ტომებს ინტენსიურად ვკითხულობდი. ამ პერიოდში შევხვდი და ვესაუბრე ძალიან განთლებულ ადამიანს, ზაურ სოლომონიძეს, რომელმაც მითხრა და მირჩია, ეროვნულ მოძრაობაში ჩაებიო. იმხანად ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას კარგად არავინ ვიცნობდით, როცა ისინი გააქტიურდნენ, მეც მათ სიახლოვეს აღმოვჩნდი. 1989 წლიდან აქტიურად ჩავერთე ყველა საპროტესტო აქციასა და მიტინგში, რაც ამ პერიოდში ეწყობოდა. თბილისში გამართულ საპროტესტო აქციებშიც ვღებულობდი მონაწილეობას. ვითხოვდით ეროვნულ დამოუკიდებლობას, არც ერთი ჩვენგანი პირადი კეთლდღეობისათვის არაფერს ვითხოვდით, არც ახლა ვითხოვთ, ოღონდ, ჩვენი ქვეყანა იყოს ბედნიერი და თავისუფალი. ჭეშმარიტი ქართველი იყო ზვიად გამსახურდია. მერაბ კოსტავას გარდაცვალებით გამოწვეული გულისტკივილის მერე გავიხარეთ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერის პრეზიდენტობით...

_ თუმცა, ისტორიის ჩარხი უკუღმა დატრიალდა და პოლიტდევნილებად იქეცით...

_ 1991-92 წლებში, პუტჩისტების მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ყველანაირად ვცდილობდი, ჩემს თანამებრძოლებს არ ჩამოვშორებოდი, ასე აღმოვჩნდი ანაკლიაში, სამტრედიის 24-ე ბატალიონში. ლოთი ქობალიას ეროვნულ გვარდიასთან შეიქმნა ეს ბატალიონი, რომელშიც წევრიანდებოდნენ ჩვენი პოლიტიკური თანამებრძოლები, მოგვიწია ხელში იარაღის აღება, ბატალიონში მიმდინარეობდა სწავლება და მომზადება, მსურველი ბევრი მოდიოდა. ვიდექით პრეზიდენტის გვერდით, ვიცავდით ადგილობრივ მოსახლეობას, ზვიად გამსახურდია რომ ჩამოვიდა ზუგდიდში, იმ შეხვედრასაც დავესწარი, იყო ძალიან ბევრი ხალხი, საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა შეაფასა და გააანალიზა მოხდარი მოვლენები, სამწუხაროდ, იმძლავრეს პუტჩისტურმა და რუსულმა ძალებმა და გამსახურდიას დაბრუნება შეუძლებელი გახდა. ჩვენ აღფრთოვანებულნი ვიყავით ამ ადამიანით, ეს იყო ჭეშმარიტი, სულით ქართველი, როგორც დემეტრე თავდადებული. მის საუბარს სულგანაბულნი ვუსმენდით...

_ აფხაზეთის ომშიც მიგიღიათ მონაწილეობა, როგორ გაიხსენებთ იმ პერიოდს?

_ ანაკლიაში ჩვენი ყოფნის პერიოდში დაიძაბა ვითარება აფხაზეთში, მთელი შემადგენლობა გადაგვტყორცნეს ბრძოლის ხაზზე, ერთად ვიბრძოდით როგორც ეროვნული ხელისუფლების, ისე შევარდნაძის საჯარისო ფორმირებები. მიღებული გვაქვს მონაწილეობა ტამიშის ოპერაციაში, მაგრამ მთავარსარდლის, შევარდნაძის ბრძანებით, უკან დაგვახევინეს. ამან ჩვენში გაამძაფრა პროტესტი, ღალატს ჰქონდა ადგილი, ჩვენ ეტაპობრივად გამოვედით ტამიშიდან, ვიყავით ანაკლიაში, მერე იყო ჩვენი შეტაკებები. ჯერ რუსის ტანკები მოდიოდნენ ჩვენს წინააღმდეგ, შემდეგ მათ მოჰყვებოდნენ შევარდნაძის ჯარები თავდაცვის მინისტრ კიტოვანის მეთაურობით, მთელი ძალები სამეგრელოსკენ დაძრა. ჩვენ ვიდექით სოფელ მუხურში, სადაც გვეკავა პოზიციები. გვითხრეს, უკვე პუტჩისტები ზუგდიდში არიან და ვისაც როგორ შეგიძლიათ, თავი დაიცავითო. ამ დროს ჩვენს ბატალიონს ზაზა კაჭახიძე ხელმძღვანელობდა, მუხურიდან ლებარდეს ტყეში ავედით, ზოგი ფოთისკენ წავიდა, მე მარტვილში წავედი, სამი დღე ტყეში წაბლის მეტი არაფერი გვიჭამია, მარტვილში ერთ-ერთმა ოჯახმა მიგვიღო, მოგეხსენებათ, ხალხი დაშინებული იყო, იმ ოჯახის წევრებმა გვითხრეს, აქ "მხედრიონელები" დადიან და თქვენი შემოსვლა საშიშიაო, ოჯახის უფროსს ვთხოვე, იქნებ ვინმე ტყეში გზის გაკვლევაში დაგვხმარებოდა, რომ მარტვილამდე ჩავეყვანეთ. ერთმა უცნობმა შემხვედრმა მითხრა, ჩემი ძმის ოჯახში წაგიყვანთო, წავყევით მას. მიგვიყვანა თავის ძმის სახლში. ოჯახში რომ შევედით სუფრასთან ისხდნენ, იარაღი მოვახსენით და ღუმელთან დავსხედით, ოჯახის უფროსმა სუფრა თავიდან გააწყობინა დიასახლისს და მიგვიპატიჟეს. ჩვენი მასპინძელი შევარდნაძის ხელისუფლების პოლკოვნიკი აღმოჩნდა, არც გვარი მიკითხავს მისთვის და არც სახელი. პურობის შემდეგ _ ეს ხალხი სად მიგყავსო? ჰკითხა მან თავის ძმას. ამ ბიჭს ვიტალი ერქვა, მან უპასუხა: ხონის ხიდთან მივიყვან, ისინი სამტრედიაში მიდიანო. ჩვენმა მასპინძელმა გაიცინა და უთხრა: ხონის ხიდთან ჩემი სამხედროები დგანან, ზვიადისტები რომ დავიჭიროთ და ესენი, ჩემი სახლიდან წასული ხალხი როგორ დავაჭერინოო? ჩემთან ერთად იყვნენ ბიჭები ბათუმის და სამტრედიის ბატალიონებიდან. შემოვლითი გზებით გაგვარიდეს ხიდს, სამშვიდობოს გაგვიყვანეს. წელამდე წყალში მოგვიწია გასვლა, ნოემბერი იყო, საშინელი სიცივე. ვიდრე სამტრედიამდე მოვიდოდით, ათი დღის განმავლობაში ვიარეთ ფეხით, ამდენი დრო იმიტომ დაგვჭირდა, რომ ჩვენი ქუჩაში გამოჩენა თავისთავად ნიშნავდა ტყვედ ჩავარდნას. სამწუხაროდ, სამი თანამებრძოლი მოგვიკლეს, მურმან შენგელია კულაშელი იყო, გრიგოლ ხუჭუა, მეტსახელად ტიგანა სამტრედიელი და მერაბ გოგიტაძე _ ნოღიდან. სამტრედიის ბატალიონის წევრები ვიყავით. ლებარდეს ტყიდან რომ გამოვედით, პირველივე ოჯახში რომ შევეფარეთ, სამივე იქ მოვიდა, მე გარეთ გავედი და ვთხოვე, ჩვენთან ერთად შემოსულიყვნენ, ერთად გავშრებოდით ცეცხლთან და მერე ერთადვე წავიდოდით. მათ კი თქვეს, უმჯობესი იყო ცალ-ცალკე წავსულიყავით, რომ ბევრს ერთად უფრო ადვილად შეგვამჩნევდნენ. ისინი არ შემოსულან, გზა განაგრძეს, რამდენიმე დღის მერე გავიგეთ, სამივე მარტვილში მოუკლავთ... გადაულებლად წვიმდა, გზადაგზა კეთილი ადამიანები გვიმასპინძლდებოდნენ... ღამე არავისთან გაგვითევია, ეს საშიშიც იყო იმ ოჯახებისათვის და ჩვენთვისაც, შეიძლება, ვინმეს ღამით ძილშიც ავეყვანეთ, ასეთი კურიოზიც მახსოვს, თუკი ამას კურიოზი შეიძლება დავარქვათ: "ღამით ერთ ოჯახში რომ შევედით, ერთმა ჩვენგანმა სიმღერა წამოიწყო დაბალ ხმაზე. მალე ქალბატონი გამოგვეპასუხა, რას მღერით, არ იცით მიცვალებული რომ არის ოჯახშიო? ჩვენ ხმა გავკმინდეთ და ბოდიში მოვიხადეთ, უკუნი ღამე იყო, წვიმდა და არც სურათისთვის მოგვიკრავს თვალი. ჯერ ჩემს სიმამრთან მივედით კეცხოველის ქუჩაზე და მერე სახლებს დავუბრუნდით. მახსოვს, რა ბედნიერი ვიყავი, ჩემთან რომ მოიყვანეს 4 თვის უნახავი ჩემი შვილი, რომელიც მაშინ 7 წლის იყო...

_ თქვენს ოჯახს დევნა-შევიწროება შეეხო?

_ საბედნიეროდ, ჩემს ოჯახს არავინ დამუქრებია.

_ ეროვნული იდეის ერთგულებისთვის მსხვერპლი გაიღეთ, რას ნიშნავს ზვიადისტობა?

_ ეს ნიშნავს ჭეშმარიტ ქართველობას... მე ისევ იმ გზაზე დავდგებოდი, ქართულ გზაზე.

_ ამ დაღვრილმა სისხლმა რა მოიტანა?

_ ის, რომ საქართველო იყო ერთიანი და ედუარდ შევარდნაძემ დახლიჩა და დაანაწევრა, მეც პატარა ჭანჭიკი ვიყავი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში და ეს მეამაყება.

წიგნის მოყვარულთა კლუბი

გული მეტკინა, წიგნში ასე დაკნინებულად რომ არის

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი რუბრიკის "წიგნის მოყვარულთა კლუბის" სტუმარი მეოთხე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი გიორგი შენგელიაა, ქრისტიანული თავმდაბლობით გამორჩეული, ნიჭიერი ახალგაზრდა. როგორც მან გვითხრა, აპირებს სასულიერო სემინარიაში ჩაბარებას, პარალელურად _ კონსერვატორიაში სწავლის გაგრძელებას. მრავალ ასპარეზზე წარმატებული ახალგაზრდა რედაქციაში გვეწვია და საყვარელ წიგნებსა და მწერლებზე გვესაუბრა:

_ გიორგი, რამდენად ხშირად სტუმრობთ სამტრედიის ცენტრალურ ბიბლიოთეკას?

_ არცთუ ისე ხშირად, რადგან სახლში საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა მაქვს.

_ განსაკუთრებით რომელი ჟანრის ლიტერატურა მოგწონს?

_ ამ ეტაპზე ჩემზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს რომანი, ხანდახან ჟანრსაც არ ვაქცევ ყურადღებას, შეიძლება მეგობარმა მირჩიოს რომელიმე წიგნი, დავინტერესდე სიუჟეტით და გამიჩნდეს მისი წაკითხვის სურვილი.

_ ამას წინათ, ბიბლიოთეკაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შესახებ მასალებს იძიებდით, ამ თემით რატომ დაინტერესდით?

_ პირველ რიგში იმიტომ, რომ ზვიად გამსახურდია არის ეროვნული გმირის წოდების მატარებელი, ნამდვილად ეროვნული გმირი. მისმა შემართებამ, რაც იმ დროისათვის წარმოუდგენელი იყო, აიყოლია ხალხი (თუმცა ბევრი მოწინააღმდეგეც გამოუჩნდა) და საქართველოს მოუპოვა დამოუკიდებლობა. გავეცანი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის დასკვნას, წავიკითხე მისი ლექსების კრებული "მთვარის ნიშნობა", განსაკუთრებით მომეწონა ლექსი "კოსმიური წირვა".

_ ახალი თაობა თომას მანის, ჰიუგოს, ბალზაკის, რემარკის კითხვას და თუნდაც, ქართველი კლასიკოსების კითხვას ამჯობინებს რეი ბრეგბედერის, ორჰან ფამუქის, ჯორჯ ორუელის და სხვათა კითხვას, თქვენ რამდენად იცავთ ბალანსს ძველ და თანამედროვე ავტორთა შორის? როგორ ირჩევთ წასაკითხ წიგნს?

_ ჩემი საყვარელი კლასიკოსი მწერალი არის რემარკი, მიყვარს "ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა," მომწონს ელიფ შაფაქის "სტამბოლელი ნაბიჭვარი". ამ ნაწარმოებში სომხების გენოციდზეა საუბარი, რომელიც მათ თურქებმა მოუწყვეს. მთავარი პერსონაჟის დიდი ბებია არის სომეხი და ამასთანავე, მისივე ფესვებს თურქეთთან მივყავართ. მთავარი გმირი _ სტუდენტი გოგონა ბრუნდება უცხოეთიდან და იწყებს ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული კონფლიქტის შესწავლას. სიუჟეტი ასე ვითარდება: ის სოციალურ ქსელში დაიმატებს და გაიცნობს ამ პრობლემით დაინტერესებულ ადამიანებს, შემდეგ მათთან ერთად აწარმოებს ამ გამოძიებას. არის ჭიდილი ორ ტრადიციას შორის, მთავარი გმირი გოგონაც ამ ქარცეცხლშია მოქცეული. ელიფ შაფაქი დაიჭირეს ამ რომანის გამო და მიუსაჯეს პატიმრობა იმიტომ, რომ თურქეთი ასე დაკნინებულად წარმოაჩინა ამ რომანში. წავიკითხე ამავე ავტორის "სიყვარულის 40 წე-

ახალგაზრდა ბანკირის დიდი გატაცება მეღვინეობაა

ნათია ნაცვლიშვილი

ლაშა გურული თიბისი ბანკის სამტრედიის სერვის-ცენტრის სერვისმენეჯერია. მისი ერთ-ერთი გატაცება მეღვინეობაა. ვაზი ხომ ქართველი კაცისათვის ეროვნული და კულტურული ფასეულობის უმთავრესი ნაწილია. ლაშა, შეიძლება ითქვას, ორივე ფრონტზე წარმატებულია _ არც საბანკო საქმეს აკლებს ხელს და მეორე მხრივ, მშობლიურ სოფელში წინაპართა ტრადიციის აღდგენას ეწევა! სწორედ ამ ტრადიციული საქმიანობის _ მეღვინეობის აღორძინების შედეგად დაიბადა ღვინო "ენკენი".

"ქალაქში გაზრდილი ბიჭისათვის ეს დარგი ასეთი ახლობელი და შინაგანი ვერ გახდებოდა, რომ არა ფესვები და წინაპრები"-ო, გვეუბნება ლაშა. დღეს, დაცლის პირას მდგომ ქართულ სოფელს სწორედ მისნაირი ადამიანები აძლიერებენ თავიანთი შემართებით, შრომითა და დაუღალავი ზრუნვით. რაოდენ გასახარია, რომ მის მშობლიურ ახალ თერჯოლაში ხარობს ვაზი, 200 წლის ქვევრებში ღვინდება ყურძნის წვენი და უნიკალური ციცქას, ცოლიკაურისა და ძელშავისაგან დამზადებული ღვინოები ღვინის არაერთ ფესტივალზე იმსახურებენ მოწონებას თუ ჯილდოს. აღმოჩნდა, რომ ჩვენი რესპონდენტის ბიოგრაფიას ჟურნალისტური გამოცდილებაც ამდიდრებს.

_ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრატურა 2006 წელს დავამთავრე, ამ დროს ქუთაისში გამომავალმა გაზეთ "ახალი ვერსიის" დამატებამ _ "ქუთაისური ვერსია" ვაკანსია გამოაცხადა, მეც შესაძლებლობები მოვსინჯე, ამიყვანეს და სულ რაღაც 4 თვე ვიმუშავე. ვწერდი პოლიტიკისა და კულტურის თემებზე, ეს საკმაოდ საინტერესო პერიოდი იყო. მიხდებოდა ცნობილ და ღვაწლმოსილ პერსონებთან შეხვედრა. წერა მიყვარს, 1999 წელს ჰუმანიტარულ ლიცეუმში სწავლისას ჩვენი გუნდი "რუბიკონი" გახდა იმერეთის ჩემპიონი ინტელექტუალურ თამაშში "ბრეინ-რინგი"." _ გვიყვება ლაშა.

სამტრედიაში გამართულ ინტელექტუალურ ჩემპიონატში "რა? სად? როდის?" თიბისი ბანკის გუნდის შემადგენლობაში მას რამდენჯერმე მიუღია მონაწილეობა. 2006 წლის ბოლოს მუშაობას იწყებს პროკრედიტ ბანკის ქუთაისის ფილიალში კლიენტთა მომსახურების მენეჯერის პოზიციაზე. ორ წელიწადში აწინაურებენ კლიენტთა მომსახურების განყოფილების უფროსის მოადგილედ. სხვადასხვა დროს გაიარა ტრენინგები და აიმაღლა კვალიფიკაცია უმაღლეს და ფინანსურ მათემატიკაში, ბუღალტერიასა და ინგლისურ ენაში. როგორც ჩვენი რესპონდენტი გვეუბნება, აეროპორტით მოსარგებლე ტურისტებს ხშირად უწევთ საბანკო მომსახურებით სარგებლობა და მათთან საკომუნიკაციო ენებად ინგლისურს და რუსულს იყენებს.

_ 2010 წლიდან მუშაობა განვაგრძე პროკრედიტ ბანკის ზესტაფონის ფილიალში, კლიენტთა მომსახურების განყოფილების უფროსის პოზიციაზე. 2013 წლიდან კი ბანკ კონსტანტას სამტრედიის ფილიალში დავიწყე მუშაობა საოპერაციო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, 2015 წელს თიბისისა და კონსტანტას შერწყმიდან დღემდე, თიბისი ბანკის სამტრედიის სერვის-ცენტრის სერვისმენეჯერად ვმუშაობ. ფაქტობრივად, თორმეტ წელზე მეტია, საბანკო სფეროში ვარ, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობაც და სოციალური ფონიც ამ დროის განმავლობაში ეტაპობრივად შეიცვალა. 2000-იანი წლების დასაწყისში მოსახლეობა ხელახლა შემობრუნდა ბანკისკენ, ყოველწლიურად იზრდებოდა ბანკების მომხმარებელთა რიცხვი, კრედიტორებისა და დეპოზიტორების რაოდენობა. დღეისათვის უკვე საბანკო მომსახურება სიახლეს მოსახლეობის არც ერთი სოციალური ფენისთვის არ წარმოადგენს. შესაბამისად, ბანკებს შორის კონკურენციაც გაზრდილია. ასევე, მოქალაქეების განათლების დონეც საბანკო სფეროში გაიზარდა და ბანკებს შორის არჩევანის გაკეთებაც უადვილდებათ. _ გვეუბნება ახალგაზრდა ბანკირი.

_ 5 წლიანი მუშაობის მანძილზე კარგად გავიცანი სამტრედია, არა მარტო საბანკო სფერო. სამტრედიაში ძალიან ყურადღებიანი, თავაზიანი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს. აქაურებს ძალიან უყვართ თავიანთი ქალაქი და ერთგულად ემსახურებიან მას. მომხმარებელთა მრავალფეროვანი სეგმენტიდან გამომდინარე, ქალაქის თითქმის ყველა სტრუქტურის წარმომადგენლებთან მიწევს ურთიერთობა, შესაბამისად, უკვე მაკავშირებს ნაცნობობა ბევრ მათგანთან... ჩვენი სერვისცენტრის თანამშრომლების უმრავლესობასაც ადგილობრივი კადრები წარმოადგენენ. 2017 წლის ზაფხულში კიდევ უფრო გავიზარდეთ: თიბისი ბანკისა და ბანკ რესპუბლიკის შერწყმის შედეგად, ყოფილი ბანკ რესპუბლიკის თანამშრომლებიც ჩვენს კოლექტივს შემოუერთდნენ. ამ 5 წლის განმავლობაში ბევრი მეგობარი შევიძინე ქალაქში და ვამაყობ, რომ დღემდე ამ გამორჩეული გუნდის წევრი ვარ. ალბათ, ესაა იმის მიზეზიც, რომ ყოველდღიურად ქუთაისი-სამტრედიას შორის მგზავრობის მიუხედავად, სურვილიც არ გამჩენია, სამუშაო ადგილის ან ქალაქის გამოცვლის. _ ასე ახასიათებს ჩვენს მუნიციპალიტეტს ქუთაისში მცხოვრები ლაშა გურული.

მას მეორე დიდი გატაცების, მშობლიურ სოფელში აღორძინებული მეღვინეობის შესახებაც გავესაუბრეთ: "თერჯოლის რაიონის სოფელ ახალ თერჯოლაში ბაბუასეულ ვენახს მე, ჩემი ძმა და მამა ვუვლით. 2016 წლიდან გვაქვს საოჯახო მარანი, ვაწარმოებთ საკუთარ ღვინოს სახელწოდებით "ენკენი". წინათ ჩვენს სოფელში 26 სექტემბერს ენკენობის დღესასწაული აღინიშნებოდა, რომელიც, ძველების გადმოცემით, მოსავლის შენახვა-დაბინავებას უკავშირდებოდა. ჯერ მხოლოდ ქართულ ბაზარზე ვახდენთ ჩვენი პროდუქციის რეალიზაციას ღვინის მაღაზიებსა და ბარებში. ჩვენი ბუნებრივი, ქვევრის ღვინოების ძირითადი მომხმარებლები უცხოელი ტურისტები არიან. მეღვინეობა ჩემი ჰობია და მინდა, ამ საქმეს მომავალში მეტი ყურადღება დავუთმო." _ ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

არის თუ არა მისი ერთ-ერთი გატაცება წიგნი? კითხვაზე გვპასუხობს: " წიგნების საკითხავად იმდენად ვეღარ ვიცლი, როგორც ადრე, მაგრამ ისტორიული, სათავგადასავლო და ფსიქოლოგიური ჟანრის ლიტერატურა მომწონს". ღვინისა და ვაზის სიყვარული თავის თავში პოეზიის სიყვარულსაც მოიცავს, ამიტომაც საყვარელ პოეტებად ლადო ასათიანს, ტერენტი გრანელს, მირზა გელოვანსა და ტიციან ტაბიძეს გვისახელებს. ის მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი ოჯახის შესახებაც გვიყვება: მეუღლე _ ანა მილდიანი პროფესიით ეკონომისტია, ჰყავთ სამი წლის დემეტრე და 6 თვის ვაჩე.

წარმოდგენილი ჩვენი ქალაქი

სი" და "რწყილების სასახლე", სადაც ვითარდება მეორე მსოფლიო ომის ისტორია. განსაკუთრებით მაინც "სტამბოლელი ნაბიჭვარი" მომწონს, წიგნს, ძირითადად, ჩემი გემოვნებით ვარჩევ.

_ როგორ ფიქრობთ, რამდენად ახდენს ადამიანის სულიერ ტრანსფორმაციას წიგნი?

_ გავიხსენებ ლევან გიგინეიშვილის მოსაზრებას, რომელიც ძალიან მომწონს: "ყველაზე გენიალური ნაწარმოების წაკითხვაც კი არ ღირს, თუ შენში არსებულ პატივმოყვარეობას უფრო გააღრმავებს, სხვებს აჩვენებ რა სიღრმისეულად მოაზროვნე ხარ და ერთი სული გექნება დაასრულო ნაწარმოები, რაც წაიკითხე. ისევ ჯობდა ფეხბურთისთვის გეყურებინა მაგ დროში, ან სხვა გასართობით დაკავებულიყავი, თუ წიგნი შენში სილამაზის ნაცვლად პატივმოყვარეობას აღვიძებს". ეს უნდა იყოს საფუძველი იმისა, ჩვენში ამპარტავნობა არ გაღვივოს, წიგნმა თუ არ აგამაღლა შინაგანად, ან, თუნდაც, შენში მიძინებული სიკეთე არ გაღვიძა, მის წაკითხვას აზრი არ აქვს. წიგნმა უნდა გაგვაკეთილშობილოს.

_ უწიგნო დღე გქონიათ?

_ არის და ამას ძალიან განვიცდი, თუ განწყობა არ მაქვს, წიგნს ვერ წავიკითხავ.

_ ამ ბოლო ხანს რა წაიკითხეთ?

_ თათული ღვინიანიძის ბესტსელერი "აღიარება ხელისგულზე", სხვათა შორის, სამტრედიაც არის აქ მოხსენიებული. რომანში მოთხრობილია ახალგაზრდა სტუდენტის ჟურნალისტური ცხოვრების შესახებ. "ბიბლუსში" ამ წიგნს რომ ვიძენდი, ვიცოდი, მასში ერთგან აღწერილი იყო სამტრედიის მომავლის პარკი. ნაწარმოების გმირი რადა შენგელია სტუმრობს სამტრედიას, რადგან გაიგებს, რომ მისი ბოიფრენდი, ანდრია მახარაძე, სამტრედიაში იმყოფება. გული მეტკინა, წიგნში ასე დაკნინებულად რომ არის წარმოდგენილი ჩვენი ქალაქი.

_ პოეზიასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

_ არც ისე ახლოს ვარ, თუმცა, არიან გამორჩეული პოეტები, რა თქმა უნდა, მეფე პოეტი, გალაკტიონი. მომწონს "მერი" და "სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში," მიყვარდა ამ საოპერო არიის შესრულება სამუსიკო სკოლაში. სამწუხაროდ, თანამედროვე პოეტებს არც ისე კარგად ვიცნობ.

_ საყვარელი მწერლის გამონათქვამი გაიხსენეთ...

_ ნოდარ დუმბაძე ამბობს: "ცხოვრების ჭეშმარიტება ისაა, ისწავლო ადამიანის სიყვარული, ცხოვრობდე ადამიანებს შორის და ცხოვრობდე ადამიანებისათვის". მთავარი ღირებულება, რაც წიგნმა ადამიანში უნდა აღძრას, არის კაცთმოყვარეობა და ჰუმანიზმი. ამ ბოლო ხანს კიდევ ერთხელ გადავიკითხე მისი "კუკარაჩა" საოცრად ტკივილიანი ფინალით.

_ როგორც ვიცი, წიგნთან დაკავშირებულ საინტერესო აქციას გეგმავთ...

_ ახლო მომავალში, ჩვენი სკოლის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობით, სამტრედიას ესტუმრება თანამედროვე ქართველი მწერალი გიორგი კეკელიძე. რადგან არ ვართ განებივრებული ცნობილი ადამიანების და მით უფრო, მწერლების სტუმრობით, ფეისბუქის გვერდზე ჩვენი სკოლის გვერდიდან მივწერე მას და ვთხოვე, ჩამობრძანებულიყო და შეხვედროდა ახალგაზრდებს. არც კი მეგონა, თუ ასე სწრაფად (ერთი საათიც არ დაგვიანებია) მივიღებდით თანხმობას, სატელეფონო ზარიც გაისმა და გვითხრა, რომ ახლო მომავალში გვეწვევა, რამაც ჩვენ ძალიან გაგვახარა. ის ჩაატარებს საჯარო ლექციას. ყველაზე დიდი სირცხვილი კი ის იქნება, ჩვენს ქალაქში მის მიერვე ჩამოტანილი "წიგნის ბუდე" ასე

გაკვეთილს ახლა ჩვენ ჩაგვიტარებს

თეა ბაბუნაშვილი

გონიერი მასწავლებელი არ მისცემს მოსწავლეს წიგნთან დაშორების საშუალებას

მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიისთვის დაწყებითი განათლების საუკეთესო პედაგოგია, მისი გაცნობა რუბრიკით „პირბადის ქვეშ" მომიწია. შეხვედრის პირველივე წუთებმა დამარწმუნა, რომ მისთვის არ არსებობს არანაირი პირბადე და შირმა, ის ისაა, ვინც შენს წინ დგას და შემოგღიმის, საოცრად კომუნიკაბელური და გულწრფელად მოსიყვარულე. უდავოდ ეს გახლავთ ის, რაც ჯერ კიდევ დედის კალთას მოუშორებელი პირველკლასელებისთვის დედობრივი სითბოს უშურველად მიცემის საშუალებას აძლევს. ამიტომ უყვართ მასწავლებლის ყველაზე პირუთვნელ მსაჯულებს, ბავშვებს. მისი გულწრფელობის და უბრალოების გამო ეიმედებათ მეგობრებს და გარშემომყოფებს.

საუკუნეზე უფროსი სკოლის კედლებში, ბევრ საუკეთესო პედაგოგს შორის, უკვე არაერთი წელია, მასწავლებლის ჭაპანს ეწევა.

იგი ნინო გუნიაა!

სახელი და გვარი ვთქვით და მკითხველისთვის უკვე გასაგები გახდება, რას იტყვის საუბარში, ამიტომ მჯერა, ინტერესი არ მოაკლდება გაზეთის ამ გვერდს და ეს, უპირველესად, რესპონდენტის დამსახურება იქნება.

დრო ისე შემოგველია, ვერც კი გავიგეთ. ბევრი თქვა მასწავლებელმა, საინტერესო და გასათვალისწინებელი. მისნაირებს რომ უსმენდნენ, კრიტიკულ ზღვარს არ მიუახლოვდებოდა და გადასცდებოდა განათლების ხარისხი და მასთან დაკავშირებული არაერთი სადავო საკითხი ქვეყანაში.

უპირველესი ჯილდო და აღიარება, იმ სკოლის საძირკველივით წლებგამოვლილი და ნაცადი, უკვე დაიმსახურა _ აღსაზრდელების, აღზრდილების მოწიწება და სიყვარული. ნინო მასწავლებელი არის ის, ვინც ამ პატარებს სჭირდება არა მხოლოდ ჭეშმარიტი განათლების მისაღებად, არამედ სამშობლოს სიყვარულის, ადამიანობის შესაცნობად და შესასწავლად.

იგი ისეთია ყველასთან, როგორიც ერთთან. თქვა, ხასიათი ფიცხი მაქვსო, მეგრული, მაგრამ მიმტევებლობა უდიდესი ნიჭი და უპირველესი ნიშანიაო ადამიანობის. იცნობთ და იცით, გავიცანი და დავრწმუნდი, რომ ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, არ საუბრობს ქვეტექსტებით და მისი სიფიცხე მხოლოდ სიმართლის სიყვარულით იზომება.

ნინო გუნიასთან ვისაუბრე. ვისაუბრე და დავრწმუნდი, თუკი მისნაირ მასწავლებლებს გასაქანი მიეცემათ, მოუსმენენ და გაითვალისწინებენ, არც ისე ცუდად იქნება საქმე, ერთი შეხედვით რომ ჩანს, რადგან სწორედ მათ შეუძლიათ მოსწავლე ღირსეულ ადამიანად, მოქალაქედ აღზარდონ, უპირველესად „დედაენა" შეაყვარონ და ტექნოლოგიებით გაჯერებულ, გაცივებულ, გლობალიზაციით თავგზააბნეულ დღევანდელობაში, ჯერ კიდევ გუშინ დავიწყებული თავიდან შეასწავლონ – ქართული ენა ჩვენი მშობლიური ენაა!

ნინო გუნია ახლა გაკვეთილს ჩვენ, უფროსებს ჩაგვიტარებს და ისევე გასუსულები მოვუსმენთ მას, როგორც მისი პატარები უსმენენ, რადგან ბევრს იტყვის დასამახსოვრებელს და გასათვალისწინებელს.

_ სამტრედიელების ფოთელი რძალი ვარ, ინჟინერი მამისა და პედაგოგი დედის ოჯახში დაბადებული და გაზრდილი. ბიჭის ანგარიშზე გაჩენილი მესამე გოგო გახლავართ, ორი უფროსი და მყავს, რომლებიც ჩემი ჟანგბადი არიან! ასაკობრივი სხვაობა დიდია ჩვენს შორის და ფაქტობრივად, მათ გამზარდეს. მამა ბუნდოვან კადრებად მახსოვს, ახალგაზრდა გარდაიცვალა. უკაცო ოჯახში გავიზარდე, დედისა და ბებიის გარემოცვაში. დები დაოჯახებულები იყვნენ. ოჯახის სიმძიმე ქალების ზურგზე გადადიოდა, კაცის საქმეების კეთებას თავიდანვე მიჩვეული გახლდით. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ძალიან ნაზი გოგო არ ვყოფილვარ, ახტაჯანა ვიყავი. ტრადიციები გავაგრძელე, დედა და დეიდები პედაგოგები იყვნენ, პედაგოგებია ჩემი დები და მეც ეს პროფესია ავირჩიე. სხვათა შორის, თავიდან ჩემი მასწავლებლის გავლენით ფრანგული ენის სპეციალისტი მინდოდა გავმხდარიყავი. მოხდა ისე, რომ სოხუმში, სადაც სწავლა უნდა გამეგრძელებია, იმ წელს მხოლოდ აფხაზურენოვან სექტორზე იყო მიღება ამ სპეციალობაზე. არადა, აუცილებლად სოხუმში უნდა მესწავლა და ჩემს დასთან მეცხოვრა, რადგან უმამოდ დარჩენილ ოჯახს ჩემი სხვაგან გაშვების შესაძლებლობა არ ჰქონდა. მერე ჩემი უფროსი სიძის, რომელსაც დიდი ამაგი ჰქონდა ჩემზე, რჩევა გავითვალისწინე და დაწყებითი განათლების პედაგოგი გავხდი.

_ ბოლო ორი ათეული წელია, რეფორმებით გაჯერებულ განათლების სისტემაში ჯერ ისევ ვერ მოიძებნა წარმატების ფორმულა. არსებობს კვლევები, საქართველოს განათლების კუთხით ჩამონათვალის ბოლოს რომ მოიხსენიებენ. თქვენ პირველი, დაწყებითი საფეხურის პედაგოგი ბრძანდებით. თქვენი მოსაზრება როგორია ამ საკითხებზე, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკოსი პედაგოგების აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ ამა თუ იმ რეფორმის ავტორები. არის „დედაენა" საქართველოში შეუცვლელი წიგნი? და რა მდგომარეობაშია ქართული ენა უცხოურ ენებთან მიმართებაში?

_ საგანს ჰქვია ქართული ენა და ლიტერატურა, მაგრამ მე რვეულებზე არასდროს ვაწერ ასე და ბავშვებსაც ვასწავლი, რომ ეს საგანი არის მშობლიური ენა და ლიტერატურა. დიახ, ადრე, ჩვენს მოსწავლეობაში, ისწავლებოდა კიდეც ამ დასახელებით. გამომდინარე აქედან, „დედაენა" დაწყებით კლასებში შეუცვლელი წიგნი უნდა იყოს საქართველოში! და აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს გრამატიკა აკაკი შანიძის სახელმძღვანელოთი ან გორდულაძე-რამიშვილის, შანიძისეული რედაქციით. რაც შეეხება სიახლეს დაწყებით კლასებსა და ზოგადად, განათლების სისტემაში, დიახ, წინ უნდა ვიაროთ და არ გვქონდეს წარსულის ნოსტალგია, მაგრამ შევათვისოთ, შევაკავშიროთ ძველი და ახალი. ხელაღებით გადაგდება იმისა, რაც გვქონდა და მისი ჩანაცვლება საეჭვო, გამოუცდელი სიახლით, სავალალო შედეგს მოგვცემს. ახალი ხომ სულაც კარგად დავიწყებული ძველია?! თუკი პედაგოგი ამგვარ შერწყმას გეგმაზომიერად განახორციელებს, ერთმანეთს არც ერთი შეუშლის ხელს. ძალიან ბევრი მოთხრობა, რომლებსაც ვთვლი, რომ უნდა ისწავლებოდეს, ამოიღეს პროგრამიდან. მათ მაგიერ არაფრის მომცემი არაერთი ტექსტია ჩადებული. თუმცა, მე, როგორც პედაგოგი, ვცდილობ, ამგვარი ნაწარმოებები ისე მივაწოდო მოსწავლეს, რაღაც მაინც დაუტოვოს. გარკვეული შედეგი მომცეს ბავშვის თვითშემეცნებისთვის. ის ნაწარმოებები კი, რომლებიც დაუმსახურებლად ამოიღეს სასწავლო პროგრამებიდან, კლასგარეშე ლიტერატურის სახით შევასწავლო მოსწავლეებს.

ჩვენ საკლასო ოთახში საკუთარი ბიბლიოთეკა გვაქვს და ჩემი მოსწავლეები მისი აქტიური მომხმარებლები არიან. თუმცა, წიგნიცაა და წიგნიც. საბავშვო ლიტერატურა შესაბამისად დასურათებული უნდა იყოს. ალბათ, გემახსოვრებათ, იყვნენ მხატვრები: ედუარდ ამბოკაძე, მანანა მორჩილაძე... მათი გაფორმებული საბავშვო ნაწარმოებები, უბრალოდ რომ ვთქვათ, სასიამოვნო სანახავი იყო, რაც ნაკლებადაა დამახასიათებელი თანამედროვე პრიალაფურცლებიანი წიგნებისთვის. ნახატმა ბავშვი არ უნდა შეაშინოს, იგი იმ გმირის ხასიათს, რომელსაც განასახიერებს, ზედმიწევნით სწორად უნდა გადმოსცემდეს. არაერთი ნახატი მინახავს საბავშვო წიგნებში, რომელიც ვიტყოდი, რომ არაესთეტიკურია. ჯერ კიდევ სტუდენტობაში ვყიდულობდი თვალსაჩინოებებს. უნდა ვთქვა, ის მაღაზია რუსეთიდან ჩამოტანილი პროდუქციით მარაგდებოდა. მართლაც საბავშვო არის ეს თვალსაჩინოებები, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი და გასაგები. დღესაც დიდ სამსახურს მიწევენ ისინი.

გითხარით, კლასში პატარა ბიბლიოთეკა გვაქვს-თქო. წაკითხულ წიგნზე ვმსჯელობთ, ვახდენთ პერსონაჟის გასამართლებას. განვიხილავთ რა არის მისაბაძი და რა დასაგმობი. მაგრამ ხელისშემშლელი ფაქტორია ის, რომ ახლა პედაგოგს არ აქვს უფლება, ბავშვი ხუთი გაკვეთილის მერე სკოლაში დატოვოს. ადრე ვრჩებოდით და ვსაუბრობდით, ბევრ რამეს განვიხილავდით, ვმეცადინეობდით კიდეც. დღევანდელი თაობის ყველაზე დიდი ნაკლია, რომ ესოდენ განვითარებული ტექნოლოგიების ფონზე წიგნს დაშორდა, მაგრამ გონიერი მასწავლებელი არ მისცემს წიგნთან დაშორების უფლებას! ახლა და ახლა ისევ წამოვიდა ინტერესი მის მიმართ და ეს ყველა ძალისხმევით კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ.

რაც შეეხება პედაგოგების გამოცდებს, კრედიტქულებს და ასე შემდეგ, მე ვთვლი, რომ მასწავლებელს, 15-20-25 წლის პედაგოგიური გამოცდილებით, გამოცდა ჩაბარებული აქვს!

_ როგორ უადვილებთ მოსწავლეებს სწავლების პროცესს?

_ ვესაუბრები და ვუხსნი ისე, როგორც თვითონ ურჩევნიათ, უფრო ზუსტად, იმ ენაზე ვესაუბრები, თავად რომ საუბრობენ და მოსწონთ. მაგალითად, ვერ დაიმახსოვრეს? გავრეპავთ, გავლექსავთ ისე, როგორც ამას რეპის ტექსტი მოითხოვს, წავუმღერებთ და მერე ადვილად იმახსოვრებენ. იმისთვის, რომ მოსწავლემდე კარგად მიიტანო ის, რაც მას უნდა გადასცე, პირველ რიგში, საკუთარ თავზე უნდა იმუშაო. არ შეიძლება, მასწავლებელი, განსაკუთრებით დაწყებითი კლასების მასწავლებელი, მოდუნდეს, იგი გამუდმებით უნდა ცდილობდეს თანამედროვეობაზე ფეხის აწყობას. ისე ვითარდება ტექნოლოგიები, და, უპირველესად, ახალი თაობა აღიქვამს მათი განვითარების კომფორტს, რომ პედაგოგს მოდუნების უფლება არ აქვს. ინდიგო თაობას ეძახიან დღევანდელ ახალგაზრდებს. რთულია მათთან ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგე. თუმცა, ბევრ რამეს მეც ვსწავლობ მათგან. მაგალითად, მესიჯების წერა ჩემი ბავშვებისგან ვისწავლე. რომ იცოდეთ, რა ბედნიერები, აღფრთოვანებულები იყვნენ მასწავლებელს რომ ასწავლიდნენ! არ მერიდება თანამედროვე ტექნოლოგიების, მუსიკალური თუ სხვა მიმდინარეობების საიდუმლოებები რომ ვკითხო მათ. ამით ჩვენს დამეგობრებასაც ვუწყობ ხელს. გარდა იმისა, რომ მასწავლებელი და მოსწავლეები ვართ ერთმანეთისთვის, ვმეგობრობთ კიდეც. შესვენება გაკვეთილებს შორის მარტო დასვენება არ არის. დასვენებაზე მათ ქცევებზე დაყრდნობით ვადგენ ჩემი აღსაზრდელების ფსიქოლოგიურ პორტრეტს. ეს საშუალებას მაძლევს, თითოეულ მათგანთან ინდივიდუალურად ვიმუშაო იმ ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორებაზე, მათ ქცევებსა და აქედან გამომდინარე, ხასიათში რომ არის.

_ მშობლების ემიგრაციაში წასვლა მძიმედ ეტყობა ბავშვების აღზრდა-ჩამოყალიბებას. ეს უდიდესი პრობლემა სულ უფრო მტკივნეულად აისახება დღევანდელობაზე და დაღს ასვამს მათ მომავალსაც. ფინანსური უზრუნველყოფა სულიერების გარეშე კიდევ უფრო დიდ პრობლემებს უქმნის თაობების ჩამოყალიბებას, ვი-

პირბადის ქვეშ

დრე მშიერი კუჭით და დახეული ფეხსაცმლით სკოლაში სიარული. ბუნებრივია, ხშირად აწყდებით ბებია-ბაბუებისა და ძიძების გაზრდილი ბავშვების პრობლემებს. როგორ უმკლავდებით მას?

_ ბავშვზე ოჯახი და მშობელი ისე აისახება, როგორც სარკეზე ანარეკლი. ყველა პრობლემა იმით იწყება, რომ მშობლებს შვილებისთვის არ სცალიათ და უფრო დიდი საფრთხის სათავე _ ისინი არ ზრდიან მათ! აქსიომაა და ახალი არაფერია იმაში, რომ შვილი უნდა გაზარდოს დედამ და არა ბებია-ბაბუამ, ძიძამ თუ ნათესავმა. გითხარით, თვალსაჩინოებები მაქვს-თქო და მათ მოწესრიგებაში, ჩარჩოში ჩასმა იქნება ეს, დაწებვა თუ სხვა, ყოველთვის მყავდა ჩართული მშობლები. სკოლა-მშობელი-მასწავლებელი _ ამ ტანდემის გარეშე, რთულია ბავშვს მხოლოდ ასწავლო კი არა, აღზარდო! დამეთანხმებით, უპირველესად აღზრდაა საჭირო ბავშვისა, რომ იგი ღირსეულ პიროვნებად, მოქალაქედ ჩამოყალიბდეს. უბედურება ისაა, რომ მშობელს არ სცალია შვილისთვის. მატერიალური მხარე, ბუნებრივია, ბევრს კი არა, ყველაფერს განსაზღვრავს, და მშობლები საშოვარს გადაგებულები არიან შვილებს ცხოვრების მყარი საფუძვლები შეუქმნან, მაგრამ სულიერება უმთავრესი და უპირველესია! ბავშვს სჭირდება მშობელთან საუბარი, ერთად წაკითხვა, წაკითხულის განხილვა, კინოში, თეატრში წაყვანა. მშობელს ყოველდღიური, ყოველწუთიერი კონტაქტი უნდა ჰქონდეს უპირველესად ბავშვთან, შემდეგ სკოლასთან, მასწავლებელთან. ფინანსურ შესაძლებლობებსა და დროს თავი დაანებე, განწყობა აღარ აქვთ პრობლემებით დატვირთულ ადამიანებს ამის. გარემოსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს მინდობილები იზრდებიან თაობები და ეს განაპირობებს მათ გულაცრუებას, გრძნობების გაცივებას, პრაგმატულობას რიგი მოვლენებისადმი, ტრადიციებისადმი. თავად სითბოს მოკლებულებს უჭირთ სხვის მიმართ სითბოს გამოხატვა. სიხისტე მათი ყოფიერების ხასიათი გახდა. არადა, სჭირდებათ ბავშვებს ოჯახური სითბო. კიდეც რომ იყოს მშობელი სახლში, ბავშვთან, საღამოობით ყველა ტელეფონსა და კომპიუტერშია "შემძვრალი" და შვილისთვის მაინც არ სცალიათ. ბავშვებს კი, მიუხედავად იმისა, ათასი შესაძლებლობაა მულტფილმების თუ სხვა საინტერესო რამის ნახვისა, მაინც აინტერესებთ, რა ხდება, ვთქვათ, კინოში, ეკრანზე. მე ბევრი დიაფილმი მაქვს და უნდა განახათ მათი ინტერესი, როცა ზღაპრების ეკრანიზებულ ვარიანტებს ვაყურებინებ. კომპიუტერში მათი ნახვა ყოველ წუთს შეუძლიათ, მაგრამ ამ ფილმების გაშვებისას საკლასო ოთახში შექმნილი გარემო საინტერესოა მათთვის. თანაც, ეს ფილმები აღმზრდელობითი ხასიათისაა და განსაკუთრებით საჭიროა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის. ერთი სიტყვით, შემეცნების გარეშე მატერიალური მხარე ცოტას თუ ნიშნავს.

_ მასწავლებლისადმი განსაკუთრებული პატივისცემა დღეს სასაცილო გახდა. "გოიმობას" ეძახიან, რომ ვიტყვით ჩემსა და ჩემს წინა თაობებს მასწავლებელს ნებისმიერი ადამიანისთვის დამახასიათებელი მოთხოვნილებები თუ ჰქონდა, არ გვეგონა-თქო. სხვათა შორის, მაშინ არც მანდატური და პოლიციელი სჭირდებოდა სკოლას ისე უმკლავდებოდა აღზრდის საკითხებს.

_ გარდა იმისა, რომ პედაგოგებისადმი უდიდეს პატივისცემასა და მორიდებას მოჰქონდა ასეთი განცდები და

დამოკიდებულება მასწავლებლის მიმართ, ეს წინა თაობების კულტურულ ნიშაზეც მიუთითებდა. ადამიანის შინაგან კულტურას მოჰქონდა ასეთი დამოკიდებულება და მართალია, მეტ-ნაკლები, მაგრამ მაინც ამ თაობების შემეცნებითობის გამოც იყო ამგვარი დამოკიდებულება. მე აქცენტი დამოკიდებულებაზე მაქვს და არა იმაზე, რომ გვეგონა მასწავლებელი საჭმელს არ სჭამდა. ხელს არ გვიშლის, პირიქით, გვეხმარება, მაგრამ მანდატურის ინსტიტუტიც ამგვარი აღზრდისა და დამოკიდებულების გამო არ იყო საჭირო სკოლისთვის. ეს დაიკარგა და ეს უნდა აღდგეს, ასეთი დამოკიდებულება უნდა აღდგეს. სკოლაა ფუნდამენტი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა. სამოქალაქო საზოგადოება კი _ ქვეყნის აღმშენებლობის გარანტი. ეს ყველაფერი ერთმანეთზე ჯაჭვური რეაქციითაა დამოკიდებული. მხოლოდ ამ მცნებებისა და ინსტიტუტების ერთობას შეუძლია საიმედო მომავლის შექმნა.

_ ვერ გეტყვით, მართლა საჭიროა თუ მოდაში შემოვიდა აღზრდის პროცესში ფსიქოლოგის ჩარევა. ბავშვებთან, და არა მხოლოდ მათთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის, ქცევითი უნარების მოწესრიგებისთვის სპეციალისტების პირდაპირი მითითებაა, ისინი ფსიქოლოგთან მიიყვანონ. საინტერესო იქნებოდა პედაგოგის აზრი, აუცილებელია ბავშვი, შემდეგ მოზარდი, მაინცადამაინც ფსიქოლოგის მეთვალყურეობით გაიზარდოს?

_ არ ვდაობთ იმაზე, რომ ზოგადად ფსიქოლოგია უდიდესი მცნება და შესაძლებლობაა ადამიანის შეფასებისა და თვითშეფასებისთვის, მისი "ამოხსნისა" და შემდგომი ფორმირებისთვის. თუმცა, ფსიქოლოგის მეთვალყურეობის აუცილებლობა, ვგონებ, დღევანდელობის ნომერ პირველმა პრობლემამ, მშობლებისა და შვილების დაშორიშორებამ და აქედან გამომდინარე, მათმა გაუცხოებამ გამოიწვია. აუცილებელიც კი იყო, პედაგოგს პედაგოგიასთან ერთად ფსიქოლოგიის არათუ ელემენტები, ძირეული საკითხებიც გაევლო და შეესწავლა. ადრე მასწავლებელსაც მეტი კონტაქტი ჰქონდა მოსწავლესთან. ახლა მოსწავლეს დამატებით ვერ დატოვებ სკოლაში, უწინ ტარდებოდა კლასის საათი, გვქონდა სხვა დატვირთვები, აქტივობები. ესეც განაპირობებს, რომ ფსიქოლოგის მომსახურება აუცილებელი გახდა. ამას ყოველდღიური კრიზისებიც ემატება, რაც ბავშვებს მშობლის სითბოს ნაკლებობის, მათი მონატრების გამო გადააქვთ. ეს ყველაფერი მათ ქცევაში ჰპოვებს ასახვას. კითხვას შეგიბრუნებთ: თქვენს დედას სჭირდებოდა ფსიქოლოგი თქვენთან ურთიერთობისთვის? ხომ არ სჭირდებოდა! დედა, რაც არ უდა მკაცრი იყოს და ხშირად გაუწყრეს შვილს, მაინც ალერსიანია მის მიმართ, ერთი ენა აქვს დედა-შვილს და ერთმანეთის უხილავად ესმით.

_ ბოდიშს ვუხდი მათ, ვისაც უხეშად მოეჩვენება ჩემს მიერ დასმული კითხვა: ემიგრაციაში წასული დედები, რომელთა გარეშეც იზრდებიან ბავშვები, გაუცხოებული არ იქნებიან საკუთარი შვილებისთვის?

_ ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ სულ მალე ამ სიშორისგან შექმნილი უდიდესი პრობლემა მტკივნეულად თვალხილული იქნება. დედის და ზოგადად, მშობლების გარეშე გაზრდილი შვილისთვის ისინი მატერიალური შესაძლებლობების წყარო უფრო ხდებიან. ბუნებრივია, გამონაკლისი შემთხვევები არსებობს და ღმერთმა არ ქნას, შვილმა მშობლის სიყვარული დაკარგოს! ცუდი ისაა, რომ ბევრი არ დააგვიანდება, აქედან გამოწვეული ნეგატივი რეალობა გახდეს. სიშორე თავისას იზამს, ბავშვობის ასაკში ბევრი რამის გათვითცნობიერება, ცოტა ძნელია.

_ დროა, თქვენს ოჯახზე, თქვენზე ვისაუბროთ. როგორც ვიცი, ფოთიდან სამტრედიაში სიყვარულმა ჩამოგიყვანათ.

_ დიახ, ასეა. მე და მედეა ონიანი თანაკურსელები გახლდით. მის დაბადების დღეზე ჩამოსულ სამტრედიელ მეგობართაგან ერთ-ერთი, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ჩემი მეუღლე გახდა. ყველაფერი იმ დაბადების დღეზე ჩხუბით დაიწყო, ჩვენ ორმა ვიკამათეთ დღესაც კი ესოდენ ღიმილიან "საკამათო" თემაზე _ მეგრელები და იმერლები! ვინ ვის მხარეს იჭერდა, მისახვედრია ალბათ. შემდეგ და შემდეგ ხშირად ჩამოდიოდა ჩვენთან გიორგი კეშელავა. მას ყოველთვის მეგობრებთან ერთად ვხვდებოდი. მპატიჟებდა კინოში, კაფეში. ძალიან ძვირი უჯდებოდა ეს ვოიაჟები, რადგან მარტო ორნი, არასდროს არსად წავსულვართ, ყოველთვის ბევრნი ვიყავით. ერთხელაც მითხრა, მე აქ ქუდების შესაკერად კი არ ჩამოვდივარ, შენდამი გრძნობა მაქვსო. მაშინდელი ჩვენი მენტალიტეტი ასეთი იყო, ადვილად არ გავუშინაურდებოდით ბიჭს. ხელკავის გამოდებაც კი ვიუკადრისე და საშუალება არ მივეცი. შემდეგ ურთიერთობები მეტ-ნაკლებად დათბა. მიუხედავად ამისა, მაინც მოტაცებული ქალი მქვია. პირველ ჯერზე არაფერი გამოუვიდა, მეორე მცდელობა კი ამ კუთხით მისთვის წარმატებული აღმოჩნდა. მეც მქონდა გრძნობა მის მიმართ და ასე შეიქმნა ჩვენი ოჯახი. შეიქმნა და, შეიძლება ითქვას, შედგა, მიუხედავად სიძნელეებისა, პრობლემებისა. ამგვარი რამ ყველა ოჯახს აქვს ალბათ. სიტყვა ოჯახი ჯახს არ ნიშნავს? არის რამდენიმე სიტყვა, ძალიან რომ მიყვარს, მაგალითად: წუთისოფელი და ჭირნახული. დაკვირდით მათ შინაარსს _ წუთიც და... სულ ესაა ამ სოფელში ჩვენი არსებობა. თუ ჭირით, თმენით, ოფლით, შრომით არ მოიპოვე, ისე ვერაფერს მიიღებ და ამიტომაც ჰქვია სარჩო-საბადებელს ჭირნახული. ჭირნახული კი მხოლოდ ოჯახში მოგყავს და შეგაქვს. ჰოდა, სიყვარულმა

ბევრი მოგვათმენია, აგვატანია. მინუსპლუსი ვართ მე და ჩემი მეუღლე, ის უფრო მშვიდი, მე მეგრული სიფიცხით აქტიური და ხმაურიანი. ამიტომ ვავსებთ და ვაბალანსებთ ერთმანეთს.

_ ერთადერთი ქალიშვილის დედა ხართ...

_ დიახ, ერთადერთი ქალიშვილის დედა ვარ, მაგრამ ანა მე დედისერთად არ გამიზრდია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარს მამიდაშვილებიცა და დეიდაშვილებიც, მაინც ყოველთვის მსაყვედურობდა დედისერთობას. თუმცა, დედისერთა არ არის ანა, ჩემი მულიშვილი გიორგი დოლიძე, მე არ გამიჩენია, მაგრამ ჩვენს ოჯახში გაიზარდა, მე გავზარდე და ისე მიყვარს იგი, როგორც ჩემი ღვიძლი შვილი და ანას ძმა. რაზეც მე მსაყვედურობდა, ის ანამ თავად გამოასწორა და სამი შვილის დედაა. სანდროს, საბასა და ქეთევანის ბებია ვარ. ძალიან კარგი ოჯახი აქვთ ჩემს ანასა და მიხეილ შენგელიას. ოჯახში მოფუსფუსე, პატიოსანი და კარგად აღზრდილი ბიჭია მიშიკო. სხვანაირი ვერც იქნებოდა მისი მშობლების, ავთანდილ შენგელია და ქეთინო ჭაფოძე აღზრდილი შვილი. შემიძლია ვთქვა, რომ მე მიხარია მათთან სტუმრობა. დიდ სითბოთი და სიყვარულით, მზრუნველობითა და პატივისცემით დახვდნენ ისინი ჩემს შვილს და ასე გრძელდება დღემდე. ბედნიერი ვარ ანას ოჯახით! ნაბოლარა ქეთევანი ჯერ სულ პატარაა. მას მამამ დაარქვა საკუთარი დედის სახელი. ანაც, ბუნებრივია, დაეთანხმა. ბიჭებზე სახელების დარქმევის თავისუფლება ჩემს ქალიშვილსა და მის დედამთილს მისცა ჩემმა სიძემ.

ქართულ რეალობაში ხშირად კამათობენ, უნდა დაუძახოს თუ არა რძალმა დედამთილს დედა. მე ვთხოვე ჩემს შვილს დაეძახა, მაგრამ ჩემი სიძე წავიდა წინააღმდეგი. მართალი გითხრათ, მე ვეძახდი თავიდან. ვთვლი, მთავარი ის კი არ არის, რას ეძახი დედამთილს, არამედ, მასთან სწორი ურთიერთობები და პატივისცემაა, მაგრამ არც ამდენი მსჯელობის საჭიროებას ვხედავ ამ საკითხზე, გინდა დაუძახე, გინდა არა. დედაჩემი დედას ეძახდა ბებიას. ის კი არადა, იმდენად ტკბილი ქალი იყო ბებიაჩემი, მამაჩემის დედა, ჩემი დეიდებიც ნაზია დედას ეძახდნენ მას.

_ ჩემი დედამთილის ხელი ეტყობოდა ჩვენს ოჯახსო, ბრძანეთ.

_ ნამდვილად. ზემოიმერელი ქალია ჩემი დედამთილი, მისი თადარიგიანობა და კოპწიაობა მართლა ეტყობოდა იმ ოჯახს, რომლის რძალიც კარგა ხნის წინ გავხდი. ჩემი მამამთილი, გიორგი კეშელავა, ცნობილი ქორეოგრაფია სამტრედიაში, კარგი ადამიანია. მამა-შვილს ორთავეს გიორგი ჰქვიათ. სხვათა შორის, ძალიან კარგად ცეკვავს ჩემი მეუღლეც. ვეუბნები, ცეკვას რომ გაყოლოდი, გაცილებით მეტს მიაღწევდი-თქო. მე ოჯახში მამაკაცური საქმეების კეთება მეხერხება და როცა რამეა გასაკეთებელი, ჩემი დედამთილი ხშირად ეუბნება ხოლმე ჩემს მამამთილს, დაანებე თავი, ნინო მოვა და უკეთესად გაგაკეთებინებსო. მართალი გითხრათ, ღომის კეთება მეგრელმა რძალმა აქ, იმერეთში ვისწავლე. პირველად აქ გავაკეთე და ჩემი დედამთილის იმერულ ღომში მეგრული შტრიხები შევიტანე.

_ სამზარეულოც გაამეგრულეთ იმერულ ოჯახში?

_ ასე არ ვიტყოდი. გამომდინარე იქედან, რომ ოჯახში მთავარი დიასახლისი მაინც ჩემი დედამთილი იყო, იმერულ-მეგრული ნაზავი გვაქვს. როგორც მეუბნებიან, გემრიელი ხელი მაქვს. მუუუჟი და წვნიანი კერძები განსაკუთრებულად გამომდის. საცივს იმერლებივით გემრიელს ვერ ვაკეთებ, ამიტომ ჩემს დედამთილს მივანდე.

_რას თვლით ადამიანის მთავარ ღირსებად?

_ მიმტევებლობას! მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ფიცხი ვარ, ვთვლი, რომ პატიება ყველაზე დიდი ღირსებაა ადამიანისთვის. ძალიან გაბრაზებულსაც მალევე მავიწყდება წყენა. და კიდევ, ბედნიერი ვარ ჩემი მეგობრებით, მათი არსებობით, ისინი არიან ჩემი კედელი და საყრდენი. ამიტომ, მგონია, მეგობრობის ნიჭი უპირველესი ადამიანური მოვალეობაა!

ბევრი ყვავილი და ბევრი ღიმილი

ქეთევან ჭელიძე

იმაზე საუბარი, ყვავილის თითოეული სახეობა რა ვრძნობას და ემოციას დაუკავშირა ადამიანმა, შორს წაგვიყვანს. ზოგადად, ყვავილების მირთმევა სიყვარულის, პატივისცემის, სიხარულის ან მწუხარების გამოხატვის ესთეტიური საშუალება. ეს უძველესი ტრადიციაა და ძველ საბერძნეთსა და ეგვიპტეში წარმოიშვა.

ჩვენს დროში ყვავილები ბიზნესის აქტიური წყარო გახდა. მაიზე მოთხოვნა წლიდან წლამდე იზრდება. უყვავილოდ ჭირსა და ლხინში მიუღებელიც კი არის წასვლა. დიზაინერებმაც ფანტაზია გაშალეს და მსურველებს ლამაზად შეფუთულ თაიგულებს სთავაზობენ. წლების წინ თუ მხოლოდ ავრარული ბაზრის ტერიტორიაზე ეწეოდნენ საქმიანობას ე. წ. მეყვავილეები, ამჟერად, სამტრედიაში მომრავლებული საყვავილეები მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას იძლევიან.

ერთ-ერთი ასეთი საყვავილე მომავლის პარკის ტერიტორიაზეა განთავსებული და კლიენტების სიმრავლით გამოირჩევა. ბევრი ამას ადგილმდებარეობის მიზეზით ხსნის, მაგრამ ერთხელ თუ მაინც ეწვევით მას, იქ დაბრუნების სურვილი უსათუოდ გაგიჩნდებათ.

ბევრი ყვავილი და ბევრი ღიმილი _ ეს ამ პატარა საყვავილის ნიშაა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მას. ყოველივე კი იმ ადამიანების დამსახურებაა, აქ რომ მუშაობენ.

10 წელია, საყვავილეში ვეფხია იაკობაშვილის მიწვევით, საქმიანობას ნათია გაბუნია უძღვება. ხელმარჯვე ქალბატონმა მალე მოიპოვა სამტრედიელების სიყვარული და პატივისცემა. სჯერათ მისი ოსტატობის, ვულითადობის, პროფესიონალიზმისა და დახვეწილი გემოვნების. ნათია სამტრედიელია, სწავლობდა მე-7 საშუალო სკოლაში, წარმატებით დაამთავრა მე-2 სამუსიკო სკოლა და ქორეოგრაფიული სტუდია "იმერი". უყვარს კლასიკური მუსიკა და თვითონაც კარგად უკრავს ფორტეპიანოზე. ნიკო ნიკოლაძის სახელობის აგრარულ-ტექნოლოგიური და ეკონომიკური აკადემიის დიდი ჯიხაშის ინსტიტუტში იგი ეკონომისტის სპეციალობას დაეუფლა. ბუნებით შემოქმედი ქალბატონი ხელოვნებისადმი სიყვარულს კულინარიაშიც ამჟღავნებს. რამდენიმე წელი ის "ჩაკონაში" ეწეოდა ინდივიდუალურ მომსახურებას. ტორტებს და უმეტესად საქორწილო ტორტებს ორიგინალურად რთავდა. მაგრამ, რატომღაც, ყვავილებმა გამიტაცა, ამბობს.

სწორედ "ჩაკონაში" გაიცნო ნათიამ თავისი მომავალი მეუღლე, წარმოშობით პოლონელი სერგო ბაბარინსკი, რომელიც ის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს გაგრიდან ჩამოვიდა სამტრედიაში. ნათიასა და სერგოს ერთი შვილი, 15 წლის მარიამი ჰყავთ.

შრომატევად, მომქანცველ საშუაოს დიზაინერ ქალბატონს ლანა შუბითიძე და ნონა იაკობაშვილი უმსუბუქებენ. "ლანა დიზაინერის თანაშემწეა, ის თავიდან მუშაობდა ჩემთან, მაგრამ ოჯახი შექმნა და ბავშვის გამო აქამდე ვერ შეძლო სამსახურს დაბრუნებოდა. ეს რომ არ მყავდეს, ალბათ, ამოსუნთქვის საშუალება არ მექნებოდა. არიან ისეთი კლიენტები, მაინცდამაინც ჩემი შეკრული თაიგულები რომ უნდათ და მე მათ გულს არ ვწყვეტ, მაგრამ როცა მე არ ვარ, ლანას იმედი მაქვს, კარგად გამოსდის საქმე ხელიდან.

ნონა კი დამხმარეა. ეს ყველაფერი: ყვავილები, მწვანე მასალა მან უნდა დაამუშავოს. თითოეულ ჰერბერს დაცელოფნება სჭირდება, წყალში ჩადება, მიხაკებს თავების დამუშავება..." _ თანამშრომლების საქმიანობაში გვარწმუნებს დიზაინერი.

აქვე: ნათია გაბუნიასთან ინტერვიუს ჩაწერის დროს საყვავილეში მყოფმა ერთ-ერთმა კლიენტმა, მარინა ზაქრაძემ, გვითხოვა, საშუალება მიგეცა, მადლიერება გამოეხატა იქ მომუშავე ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით ნათიასადმი. ასევე, საყვავილეს მფლობელ ვეფხია იაკობაშვილისა და მისი მეუღლე შორენასადმი. "დიდი ხანია, აქ დავდივარ ყვავილების შესაძენად. ძალიან კარგი ადამიანები არიან, ყურადღებიანი, კეთილები. ყოველთვის შეუძლიათ თანაგრძნობა, გვერდით დგომა". _ თქვა მან.

ნათია გაბუნიამ ჩვენს კითხვებსაც იქ, ყვავილების გარემოცვაში უპასუხა.

_ მრავალი სახეობის ყვავილი გაქვთ და განსაკუთრებით რას ითხოვს კლიენტი?

_ სხვადასხვა სახეობის ყვავილს ირჩევენ. ზამთარში აქტუალურია მიხაკები, ჰერბერები, ჰოლანდიური ვარდები, შოპა, ეუსტომა... აპრილიდან შემოდის ჩვენებური ვარდები, გვირილები, ასევე, გლადიოლუსები, ქრიზანთემები, გიორგინები; სეზონური და ძალიან ლამაზია აზიური ლილიები. ამ პერიოდისთვის ჰოლანდიიდან და თურქეთიდან შემოტანილი ყვავილები გვაქვს. ჩვენთან დიდია დისტრიბუცია და ყვავილებსაც პირველი პირიდან ვიღებთ.

_ თქვენთვის საყვარელი ყვავილი რომელია?

_ ვარდი. ვგიჟდები მასზე.

_ ყვავილების მირთმევა სასიამოვნოც არის და ზოგჯერ აუცილებელიც. დამეთანხმებით, რომ მოდური ეს უფრო ბოლო წლებში გახდა.

_ დიახ. 10 წელია აქ ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე თანდათან გაიზარდა მყიდველთა რაოდენობა. განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში იძენენ ყვავილებს: 14 თებერვალს, სიყვარულის დღეს, 8 მარტს, 3 მარტს, დაბადების დღეებზე. დიდია მოთხოვნა სააღდგომოდ. იმ დღეს სახლში საერთოდ ვერ მივდივარ. მთელი ღამე აქ ვარ და ვმუშაობ. იმდენი ყვავილი მაქვს, გარეთ, ქუჩაში გამაქვს. ერთხელ, გვიან ღამით უცხოელებმა გამოიარეს და რამდენიმე ცალი იყიდეს. გაუკვირდათ, რა უნდა უქნათ ამდენ ყვავილებსო. მეორე დღეს ერთიც კი აღარ მქონდა.

დროსთან ერთად დიზაინიც იცვლება. თანდათანობით შენც სწავლობ და ხვეწ საქმიანობას. ყოველდღიურად ბევრს ვშრომობ, ვიღლები, მაგრამ იმდენად მიყვარს რასაც ვაკეთებ, მსიამოვნებს კიდეც. ბევრჯერ როცა შეკვეთას ვიღებ, მთელი ღამე ვფიქრობ და დილით როცა აქ მოვალ, ვიცი, რა და როგორ გავაკეთო.

სხვადასხვა შესაფუთ მასალას ვიყენებთ. ძალიან მოთხოვნადი გახდა ყუთებში ჩალაგებული ყვავილები, ჩვენ ეს ყველაფერი გვაქვს და კლიენტსაც მათთვის სასურველი დიზიანით ვთავაზობთ.

_ შეკვეთის დროს ყვავილების სახეობებთან დაკავშირებულ სიმბოლურ დატვირთვას ითვალისწინებთ, თუ მხოლოდ სასურველი ფერების კომბინაციას ახდენთ?

_ გააჩნია, სად და ვისთვის მიაქვთ ყვავილები. წითელი სიყვარულის ფერია, თეთრი _ მეგობრობის, ყვითელი _ განშორების და უმეტესად პანაშვიდებსა და დაკრძალვებზე წასაღებად იძენენ. რა თქმა უნდა, ფერებსაც ვუხამებ. არ მახსოვს, სამგლოვიაროდ გაკეთებული თაიგული ვინმესთვის დღესასწაულზე წასაღებად მიმეყიდოს.

_ ცრურწმენა, მწუხარების ან ლხინის დროს რა რაოდენობის ყვავილი მიიტანო, როგორც ცნობილია, იაპონელებიდან მოდის. განსხვავება ის არის, რომ ჩვენ კენტი ყვავილი მიგვაქვს გარდაცვლილთან, პირიქით კი უნდა იყოს. თქვენთან მოსული ადამიანები რამდენად ამახვილებენ ასეთ რამეებზე ყურადღებას?

_ რა თქმა უნდა, ამახვილებენ და ჩვენც ასეთი შემთხვევებისთვის თაიგულებს კენტი ყვავილებით ვკრავთ. თუმცა, ეს ცრურწმენაა, მაგრამ ხალხს ამის მაინც სჯერა. რელიგიური თვალსაზრისით კი მნიშვნელობა არა აქვს, ლუწი იქნება ყვავილი თუ კენტი.

_ ალბათ, თქვენც გსმენიათ, რომ თქვენთან ყველაზე მეტი სიძვირეა, მაინც რა ღირს ყვავილები?

_ დიახ, ასე ამბობენ, მაგრამ ეს სწორი არ არის. ისეთი ადამიანიც შემოსულა ჩემთან, რომელსაც უთქვამს: სხვაგან რატომ წავიდე, როცა ანალოგიურ თაიგულს უფრო ნაკლებ ფასად აქ ვყიდულობო. რადგან ცენტრშია ჩვენი საყვავილე და ხელმისაწვდომია, ამით არ ვსარგებლობ, ვყიდი რეალურ ფასად. ბაზარია, რაღაც ხომ უნდა დაგრჩეს. ნაყიდ ყვავილს დაბალ ფასში ვერავინ გაყიდის. ყველაზე დაბალფასიანი თაიგული ჩვენთან 6 ლარი ღირს. რომ შემოვიდა ადამიანი და ხელში 5 ლარიანი უკავია, მეც უხერხულად ვგრძნობ თავს, არ შემიძლია, უარი ვუთხრა. თუ ფული არ აქვთ, ნისიადაც ვყიდი.

დოლარის კურსის ცვლილებამ ყველაფერი გააძვირა, ყვავილებიც და შესაფუთი მასალაც. ღირებულების მიუხედავად, მე ყოველთვის ხარისხიან ყვავილებს ვყიდულობ. მირჩევნია, ძვირი გადავიხადო, რადგან აქ ისეთი კლიენტი შემოდის, უხარისხო ყვავილს არ გახედავს. აძვირებს ისიც, თუ აუცილებელია თაიგულში "ფლორა" გამოვიყენო.

ჩვენი უპირატესობა ისიც არის, რომ თაიგულების მოსართავად ბევრნაირი მწვანე მასალა გვაქვს. მათ შორისაა დეკორატიული ევკალიპტი. დეფიციტური მცენარეა, სამეგრელოდან შემოგვაქვს. ძალიან მიღებულია და თბილისში სადედოფლო თაიგულებისთვის, რესტორნებში მაგიდების დიზაინისთვის იყენებენ.

ვცდილობ, კლიენტის მოთხოვნა დავაკმაყოფილო და როგორიც მას უნდა, ისეთი დიზაინით გაკეთებული თაიგული შევთავაზო. აქ ბევრჯერ შეგვიგრავს 250 ლარიანი თაიგული, 300 ლარიანიც. 500 ლარიანი შეკვეთა მიგვიღია. 2-3 საათი მაინც არის აუცილებელი ასეთი შეკვეთებისთვის. საერთოდ დღეში 50 თაიგული მაინც უნდა შევკრა. ისეც მომხდარა, ყვავილი საერთოდ აღარ დამრჩენია და სხვა სალონში გამიშვია კლიენტი. ცხადია, კონკურენცია არის, მაგრამ მე ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ზოიასთან, ციცინოსთან, ნინოსთან და სხვებთან.

სხვათა შორის, ხშირად მიმიღია მადლობაც კლიენტებისაგან. ჩვენთან ბევრი დადის აბაშიდან, აგრეთვე, ქუთაისიდან, თბილისიდანაც მიმიღია შეკვეთა და გამიგზავნია კიდეც თაიგულები. გავიხსენებ, ბიჭები მოვიდნენ ფლაუერს ჯი-დან. სურათი მანახეს, ასეთ თაიგულს თუ გაგვიკეთებო. გაოცებულები დარჩნენ, მათ რომ უნდოდათ, იმაზე უკეთესი რომ გავუკეთე. ასეთი შემთხვევები ხშირად მაქვს. ერთმა კლიენტმა ჩემგან თბილისში ორი თაიგული წაიღო. იმდენად მოსწონებიათ, ფასი უკითხავთ მისთვის. უთქვამს: 100-100 ლარიო. გაჰკვირვებიათ, იაფიაო. სინამდვილეში 35-35 ლარად გავაკეთე. ჩვენი და თბილისის ფასები დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან.

_ პრეტენზიულ კლიენტებს როგორ ართმევთ თავს?

_ აქედან ყველა კმაყოფილი მიდის. ერთხელ ისეთი ქალბატონი შემოვიდა, ყველაფერს რომ ეჭვის თვალით უყურებს და არაფერი მოსწონს. საერთოდ, კლიენტთან ურთიერთობას არასდროს ვართულებ, მოთმინებას ვიჩენ. ბოლოს ის ქალბატონიც კმაყოფილი რომ გავისტუმრე, იმ დროს საყვავილეში მყოფმა ჩვენმა ერთ-ერთმა დისტრიბუტორმა მითხრა: ყოჩაღ შენ, ასეთ ადამიანს რომ მადლიერს გაუშვებო.

აქ რომ ადამიანი შემოვა, უკვე ვხვდები, მას რა უნდა შევთავაზო. ერთ სიტყვასაც რომ მეტყვის, წარმოდგენა მექმნება მის გემოვნებაზე. შეიძლება, ბევრის გადახდა არ შეუძლია, მაგრამ იმ 5 ლარიან თაიგულშიც ხომ შეიძლება თავისი ინდივიდუალურობა გამოამჟღავნოს. სამტრედიელების გემოვნება მეტ-ნაკლებად ვიცი. როცა შეკვეთას ვიღებ, იმას არ ვაქცევ ყურადღებას, რა ფასიან ყვავილს ვდებ თაიგულში, მთავარია, ლამაზი იყოს.

მეფე საქართველოსი _ აღმაშენებელი დავით...

საგმირო და ქველი საქმიანობისთვის მადლიერმა ერმა აღმაშენებელი უწოდა.

დავით აღმაშენებლის "იმპერიაში" იმდენი ენა ჰყიოდა, რამდენიც ტომ-თესლი იყო. მაგრამ საერთო სახელმწიფოებრივი ენა "ნიკოფსიიდან დარუბანდამდის" იყო ქართული ენა.

ქართული ენა საქართველოში უნდა სცოდნოდა ყველას _ ქართველსაც და არაქართველსაც. ეს პატივიც იყო, საჭიროებაც, სინდისიც და მოვალეობაც.

"მე ვარ ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწებისა ღუართაი.
ჟამი რაი წულილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაი წარმოდგეს,
ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს,
შუებაი უქმ იქმნეს, ყუავილოვნებაი დაჭნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტარი, სხუასა შეუდგნენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!" _

ბრძანა აღმაშენებელმა

საუკუნეები და ქარტეხილები გვაშორებენ დავითის ეპოქასთან, თუმცა აღმაშენებლის მეფურ შორსმჭვრეტელობას, სტრატეგიას, მოღვაწეობას კვლავაც აღფრთოვანებაში მოჰყავს თანამედროვენი. დავით IV აღმაშენებელი იყო, არის და იქნება სიმბოლო საქართველოს ძლიერების, ერთიანობის, განუყოფლობის.

ზეციურ წმინდანთა დასში დავანებული სული დამაშვრალი მეფისა კვლავ მის სათაყვანებელ ქვეყანასა და ერს მფარველობს.

8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა!

ლევან გაბეჩავა

ახდავინყება

მიდის დროს, ჩუმად ტოვებენ წუთისოფელს უფროსი თაობის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები.

ქალბატონი ნონა ნაცვლიშვილი მაშინ გავიცანი, როცა აბიტურიენტობისას მასთან ვმეცადინეობდით.

ბაშში დაიბადა. მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, წარმატებით ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს და ნახევარი საუკუნის განმავლობაში სამტრედიის სხვადასხვა საჯარო სკოლებში მოღვაწეობდა.

ქალბატონი ნონა თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი, უფრო სწორად, დიდოსტატი იყო. დაუვიწყარია მისი მშვიდი, დახვეწილი ქართულით წარმართული მეცადინეობები. მეამაყება, მასთან მის გარდაცვალებამდე თბილი, საქმიანი კონტაქტი რომ მაკავშირებდა. რაიონის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, სახალხო განათლების წარჩინებული, პირველი კატეგორიის მასწავლებელი ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოში, ვისაც ღირსების ორდენი ღირსეულად, დამსახურებულად გადაეცა.

ჩემი უახლოესი ნაცნობი პედაგოგი შემხვდა ამას წინათ, საუბარში ჟარგონები "გავურიე" და მითხრა, სად არიან ახლა, რატომ არ გისმენენ ნონა ნაცვლიშვილი და აკაკი ჯამბურია, თუ არა, სეირს გიჩვენებდნენო. სეირისა რა მოგახსენოთ, მაგრამ როგორც ერთს, ისე მეორეს არა ერთხელ მოუციათ ჩემთვის რჩევა, შენიშვნაც კი. არა, არ მიმძიმს დღეს ამისი აღიარება, პირიქით...

სწორედ ქალბატონი ნონა, ბატონი აკაკი და კიდევ სხვა უფროსი თაობის პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობდნენ გაზეთთან, განსაკუთრებით ენის სიწმინდის საკითხებზე წერდნენ და მსჯელობდნენ.

ღირსეული მეუღლე, საყვარელი დედა და ბებია იმ ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდან, როცა უნდა ეხარა ნაამაგარით, მონაგარის კეთილდღეობით. წავიდა, თუმცა, დარჩა გაუნელებელი სევდა და უკვდავება.

85 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ნონა მასწავლებელი.

ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული.

ლევან გაბეჩავა

სავსე ქართული პატიოსნებით

ჩვენს უფროს კოლეგასთან, სამამულო ომის აქტიურ მონაწილესთან, ბატონ ოთარ ნაფეტვარიძესთან, რედაქციაში ხშირად შემოდიოდნენ ხოლმე მისი მეგობრები, ომისა და შრომის ვეტერანები. ერთ დღეს ბატონმა ოთარმა ჭარმაგი კაცი გამაცნო, გრიშა მინაშვილი გახლავარო, გამეცნო. მას შემდეგ ყოველ შეხვედრაზე მოწიწებით მესალმებოდა ისე, როგორც მისი თაობის ადამიანებს სჩვევიათ. სამამულო ომის მონაწილე მძიმედ გახლდათ დაჭრილი. გავოცდი და აღვფრთოვანდი კიდეც, როცა ერთ დღეს ბატონ ოთართან ერთად დაბადების დღეზე მიმიწვია. მაგიდასთან რამდენიმე კაცი იჯდა. თავად იუბილარი, ბატონი ოთარი, ბატონი უშანგი ჟორჟოლიანი და ბატონი აკაკი ქობულია.

საინტერესო იყო პურობა და თანამეინახეობა ვეტერანების გარემოცვაში. გავიდა წლები და ბატონმა გრიშამ კვლავ მიგვიწვია თავისთან, ამჯერად უკვე ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარესთან, ბატონ რევაზ კანდელაკთან ერთად, რომელთანაც სამსახურებრივი ურთიერთობებიც აკავშირებდა. ასე რომ, ბატონ გრიშასთან თბილი ურთიერთობა მაკავშირებდა, რომლის შესახებაც იციან მისმა ახლობლებმა. საოცრად გაიხარა, 10 წლის წინ გაზეთით რომ მივულოცე იუბილე.

დიდია ბატონი გრიშას დამსახურება ჩვენი ქვეყნისა და მშობლიური სამტრედიის წინაშე. წლების მანძილზე გახლდათ იგი საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, არაერთი საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი აიგო ჩვენს ქალაქში ბატონი გრიშას თავკაცობისას, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ ფუნქცია. დიდხანს ხელმძღვანელობდა _ რიგ საწარმოებს. ბევრი კეთილად იგონებს დღესაც სიკეთით სავსე კაცურ კაცს, უნარიან ხელმძღვანელს.

უზომოდ ვალმოხდილი განერიდა წუთისოფელს სამშობლოს სამსახურში პატრუქვით დამწვარი სპეტაკი სულის ნათელი კაცი.

100 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ბატონი გრიშა მინაშვილი.

ლევან გაბეჩავა



ნინო ჩხაიძე, მურად გელეიშვილი და ლევან გაბეჩავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონი

მიხეილ (მიშა) სარქისოვი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ბეჟან გოგია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნატო და ბესიკ მუქერიებს დედის, ქალბატონი

ნუცა თოფურიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნინო ნანიტაშვილსა და ბადრი ვაშაკიძეს ბიცოლას

ციალა ბირკაძე-ნანიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მიხეილ სხვიტარიძეს შვილის

გიორგის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რკინიგზის დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ზურაბ გოგოხიას, მეუღლის, ქალბატონი

სვეტას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ზურაბ გოგოხიას მეუღლის, ქალბატონი

სვეტას

გარდაცვალების გამო.

ბეჟან გოგია თანაუგრძნობს რუსუდან გუძუაძესა და ალექსანდრე შენგელიას დედისა და სიდედრის, ქალბატონი

გალინას

გარდაცვალების გამო.

ქეთევან ჭელიძე და ვალერი სანაძე ოჯახით თანაუგრძნობენ მაია, რუსუდან გუძუაძეებსა და ალექსანდრე შენგელიას დედისა და სიდედრის, ქალბატონი

გალინას

გარდაცვალების გამო.

მეოთხე საჯარო სკოლა "ცვინების ბრძოლის" გამარჯვებული

ნათია ნაცვლიშვილი

შპს "ბრეინს-ჯი" (დირექტორი ალექსანდრე ბასილაძე) ახორციელებს პროექტს "ტვინების ბრძოლა". ეს არის საგანმანათლებლო, სასკოლო ინტელექტუალური პროექტი მესამე _ მეთორმეტე კლასების მოსწავლეებისათვის. პროექტის მიზანია არასრულწლოვანთა ეფექტური განათლების დანერგვა, მოსწავლეთა თვალსაწიერის გაფართოება და ცოდნის ამაღლება, სასწავლო პროცესის სტიმულირება და სწავლისადმი ინტერესის გაღვივება, მონაწილეთა გაცნობიერება ინტელექტუალური თამაშის სტრუქტურაში და მათი საკონკურსო პირობებთან ადაპტირება, მოსწავლეებში დამკვიდრებული ლოგიკური აზროვნების გაუმჯობესება. ინტელექტუალური თამაში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის ორ ასაკობრივ (5-6 კლასები) და (9-12 კლასები) ჯგუფს მოიცავს და რამდენიმე წელია, რაც წარმატებით მიმდინარეობს. ამჯერად თამაშის ლოკაციად მეორე საჯარო სკოლა განისაზღვრა. კონკურსში მონაწილეობდნენ პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეთერთმეტე საჯარო და სკოლა "ცოდნის" მოსწავლეები.

"შეკითხვები დაისვა ლიტერატურის, ხელოვნების, ბუნებისმეტყველების სფეროდან და ემსახურება ბავშვების წიგნიერების დონის განსაზღვრას. 5-6 კლასიანთა კონკურსში მეოთხე სკოლამ გაიმარჯვა, მეორე საფეხურის კონკურსში გამარჯვებული კი ჩვენი სკოლაა. ამას წინ უძღოდა სმარტის ოლიმპიადა, რომელიც რამდენიმე წელია, ჩვენს სკოლაში ტარდება, საორგანიზაციო ჯგუფმა დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით გადაწყვიტა, ეს კონკურსიც აქ გამართულიყო. სხვათა შორის, ჩვენი სკოლა წლეულს პირველად ჩაერთო ამ შეჯიბრში, გუნდი მხოლოდ ერთ ასაკობრივ ჯგუფში წარმოვადგინეთ". _ გვეუბნება მეორე საჯარო სკოლის დირექტორი თეა კარტოზია.

დღეს ნიღბები მოდაშია,
ხედავთ? ვეღარ სუნთქავს ტიპი,
გავიკეთოთ ვაქცინა და
დავამარცხოთ ღორის გრიპი.

ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

უფალი გმეგზურობდეთ!

"სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ მანანა მანჯგალაძე!

დაბადების დღეს დიდი პატივისცემით ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს და გულშემატკივარს, ბევრი სამტრედიელისთვის საყვარელ ქალბატონს. ვუსურვებთ ოჯახურ ბედნიერებას და წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფლის წყალობა არც მომავალში მოჰკლებოდეს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნე"

მადლობა

შპს "ახალმშენი" (დირექტორი დავით ბასილია) ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციაა, რომელიც ქალაქის ტერიტორიაზე გარკვეულ სამუშაოებს ასრულებს. მათ შორის მოწესრიგდა ვარლამ პაპავას ქუჩა, სადაც გაკეთდა წყალსაწრეტი არხები, ხიდ-ბოგირები, გზასაყართან დაიგო ფილები.

კეთილსინდისიერი მუშაობისათვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ სამუშაოების ხელმძღვანელს გოჩა თოდრიას და ყველა მუშას, რომლებიც ხარისხიანად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ყველანაირად ხელს უწყობენ მშენებლებს მუშაობაში, რისთვისაც მადლიერებას, თავის მხრივ, ბატონი გოჩაც გამოხატავს.

კიდევ ერთხელ ვუხდით მადლობას შპს "ახალმშენს", სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს, ზურაბ გოგიას, ამავე სამსახურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ოთარ თევზაძეს და უფროს სპეციალისტს, ნოდარ ჩაჩუას.

პარლამ პაპავას ქუჩის სახელით ბაჩუკი ფახურიძე

2019 წლის 19 იანვარს ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე, მოვხვდი "ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში, სადაც მორიგე ექიმი ბრძანდებოდა თამარ ვაშაკიძე, მორიგე ექთნები: ხათუნა პიტავა, მედეა ნიკოლეიშვილი, დამხმარე მედდა ნათია დუნდუა, ნინო ჭელიძე, საავადმყოფოს რეგისტრატორი თეა გიორგაძე. მადლობა მათ ჩემდამი გამოჩენილი მზრუნველობისა და დახმარებისათვის.

ავთანდილ კაშია
შს სამტრედიის ვეტერანების თავმჯდომარე

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა